ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1989 წლის მაისიდან
იბეჭდება თვეში ერთხელ

№ 7

30 ნოემბერი, 1989 წ.

„მთვიულათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს...“

# ქართველის დედა

## ღია წერილი

### გაზეთ «ქართული ფილმის» რედაქციას
### ქალბატონ ნაირა გელაშვილს
### ბატონ რეზო ჩხეიძეს

საქართველოდან 1944 წელს გასახლებულ ე.წ. «თურქ მესხთა» შესახებ საკმაოდ იწერება რესპუბლიკურ პრესაში. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც გამოითქმის.

ერთნი კატეგორიულად მოითხოვენ გასახლებულთაგან ქართული ორიენტაციის მქონე ადამიანების დაუყოვნებლივ დაბრუნებას, მეორენი კი შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე შეუძლებლად მიიჩნევენ მათ უკან დაბრუნებას, რითაც არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავენ მათ სამშობლოში ჩამოსახლებას საქართველოს წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების გადაჭრის შემდეგ.

ამ პრობლემის შესახებ ოზურგეთის სახალხო ფრონტს ადრეც შეეძლო თავისი მოსაზრება გამოეთქვა, მაგრამ თავს ვიკავებდით, რადგან ვთვლიდით, რომ ეს საკითხი გონიერ, დელიკატურ მოპყრობას საჭიროებდა.

გაზეთ «ქართული ფილმის» 8 და 15 ნოემბრის ნომრებში ქალბატონ ნაირა გელაშვილის წერილებისა და გამოქვეყნებული დოკუმენტების წაკითხვის შემდეგ კი აუცილებლად ჩავთვალეთ ღია წერილით მივმართოთ რედაქციის, წერილების ავტორისა და ბატონ რეზო ჩხეიძისათვის და მკითხველისათვისაც მოგვეთხრო ღვალიძეების ოჯახების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ოზურგეთში გამართული ორი შეხვედრის შესახებ.

ქალბატონო ნაირა, გაზეთ «ქართული ფილმის» ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ «მაჰმადიან მესხთა საკითხს აქვს ისტორიული, სამართლებრივი, ზნეობრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მხარე, თანამედროვე ცხოვრების წარმოუდგენელი სირთულის გამო ნებისმიერი საკითხი უნდა განიხილებოდეს გლობალურ კონტექსტში, მრავალ პერსპექტივაში». ამ უდავო ჭეშმარიტების მიუხედავად «თურქ მესხთა» პრობლემების გაანალიზების დროს თავად საერთოდ უარს ამბობთ სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მხარეების განხილვაზე. თქვენი შემდგომი მოსაზრებები ძირითადად მხოლოდ ემოციებზეა დამყარებული. თქვენ არცერთ წერილში არ ცდილობთ ეს პრობლემა საქართველოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურად აფეთქებასაშიშ სიტუაციასა და ცენტრიდან ინსპირირებულ ეთნოკრიზისს დაუკავშიროთ. ნუთუ არ გესმით, რომ ჯერ კიდევ მძლავრი იმპერიული მანქანა, საკმაოდ ძლიერი აპარატით, აგერ უკვე 70 წელია მეფის რუსეთიდან დატოვებული მემკვიდრეობის საფუძველზე საკმაოდ წარმატებით ახორციელებს იმპერიულ («გათიშე და იბატონე») პოლიტიკას. თქვენ თვითონ ამბობთ, რომ «თურქ მესხთა» პრობლემას ღრმა ფესვები აქვს, მაგრამ აქედან არავითარ დასკვნებს არ აკეთებთ. ე.წ. «თურქ მესხთა» პრობლემა რუსეთის ძველი და ახალი, მოდერნიზებული იმპერიის მიერ თითქმის 2 საუკუნეა მზადდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით – ამოძირკვოს ქართული ელემენტი ადამიანების (ქართველების) შეგნებაში. ჩამოაყალიბოს ყველასაგან გაუცხოებული მანქურთი, რომელსაც შეგნებულად ავიწყებენ ვინ არის და საიდან მოდის, რათა საჭიროების შემთხვევაში დაუპირისპირონ ქართველ ხალხს. ამის საჭიროება კი ცენტრს სწორედ ახლა დაუდგა, როცა კოსმეტიკური საშუალებები აღარ არის საკმარისი ერების მოსატყუებლად. დღეს არის ყველაზე საუკეთესო დრო იმპერიის მიერ საკუთარ წარმომავლობადავიწყებულ ადამიანების დაპირისპირებისა თავისუფლების გზაზე დამდგარი საქართველოსათვის.

იქნებ წარმოგიდგენიათ, რომ (როგორც ოზურგეთში განაცხადეთ) მივიღებთ ქართული ორიენტაციის მესხებს და ამით სხვების შეჩერებას შევძლებთ? ან იქნებ არ იცით, რომ საერთაშორისო სამართალი არ ცნობს ადამიანთა ორიენტაციას არგუმენტად მსგავსი საკითხების განხილვისას? ერთიც საკითხავია, მაშინ, როცა ზნეობრივ კატეგორიებს აყენებთ ყველაზე წინ, რომელი ზნეობითაა გამართლებული ნაწილის მიღება და დანარჩენის არა? ამასთან ერთად ტყუილად ცდილობთ 15 ნოემბრის «ქართულ ფილმში» «თურქ მესხთა» უბედურებათა გამო ზნეობრივი პასუხისმგებლობის ქართველ ხალხზე დაკისრებას. თქვენ ბრძანებთ, რომ ისინი ქართველი ხალხის წიაღიდან ამოზრდილმა სიბნელემ გასწირა, რაც არავითარ შემთხვევაში სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია სტალინი და მისი ზოგიერთი დამქაში ეროვნებით ქართველი იყო, მაგრამ ისინი ბოლშევიზმის (არაქართული მოვლენის) ნაყოფს წარმოადგენდნენ და ასე, რომ ზნეობრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას შეიძლება დაეკისროს. რაც შეეხება თვით პრობლემის გადაწყვეტას, ჩვენი აზრით ყველა გამაჰმადიანებული ქართველი უნდა დაბრუნდეს საქართველოში, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მაშინ, როდესაც გამორიცხული იქნება მესამე, გარეშე ძალის ჩარევა ჩვენს საქმეებში. მანამდე კი არასტაბილურობის პირობებში, როცა იმპერიული ხელისუფლების სახელმწიფო ინსტიტუტები მუშაობენ პატარა შესაძლებლობის გამოყენებაზეც კი საქართველოს საწინააღმდეგოდ, რა ძნელიც არ უნდა იყოს ამის თქმა, ჩამოსახლება ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ იქ სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან.

ამასთან ერთად მეტად სადავოა მთელი კატეგორიულობით რომელიმე გამაჰმადიანებული ქართველის ჭეშმარიტად ქართული ორიენტაციის მტკიცება. რაიმე ასეთი საზომი კრიტერიუმი რომ არსებობდეს შეიძლება ზოგიერთი ქართველიც ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, დამაჯერებელია ისიც თუ რამდენჯერ შეცვლით ჩვენი «მოძმეების» (აჭარლებისა და ლაზების ნაწილის) [illegible] და რა ძნელი შედეგებიც მივიღეთ ამის გამო.

ჩვენ ოზურგეთელები ღვალიძეებთან გაცნობით დავრწმუნდით ასეთი მტკიცების უსუსურობაში. ქალბატონო ნაირა, ალბათ კარგად გახსოვთ ოზურგეთში გამართულ შეხვედრაზე თქვენი, ბატონი რეზო ჩხეიძის, ბატონი მერაბ კოკოჩაშვილისა და ბატონი თამაზ მამალაძის მტკიცების მიუხედავად, როგორ საპნის ბუშტივით გაქრა ღვალიძეთა ოჯახის თავკაცის ქართული ორიენტაცია, მან ხომ მთელ დარბაზს, ქართველებს (რომელთა ჯიშისაა თვითონაც და პასპორტშიც აქვს შესაბამისი აღნიშვნა) განუცხადა: «ნებით თუ არ შემოგვიშვებთ, წავალთ სარვართან, შევუერთდებით მას, ძალით შემოვალთ და მერე ვნახოთ». ან იქნებ თქვენმა არგუმენტმა ღვალიძეებისა და ოზურგეთელი მესხების ნათესაობის შესახებ გაძლო შეხვედრის ბოლომდე? კარგად გეხსომებათ, იქვე გაირკვა მხოლოდ ორი წლის გაცნობილი რომ ჰყავთ ერთმანეთი.

თქვენ სხვებს ასწავლით 15 ნოემბერს გამოქვეყნებულ წერილში, რ ო მ «ადამიანს ყოველთვის უნდა დაუტოვოთ შესაძლებლობა საკუთარი სურვილით და არა ჩვენი «მხილებით» და ფსიქოლოგიური შევიწროებით შეიცვალოს პოზიცია და ცხოვრების წესი, თუკი შესაცვლელი აქვს. ეს ცვლილება მისი თავისუფალი ნების გამომხატველი უნდა იყოს და არა ჩვენი უპირატესობისა თუ ხაზგასმული ზემოქმედებისა! რაც ხდებოდა ხოლმე კომკავშირულ თუ პარტიულ კრებებზე აღმზრდელობით-იდეოლოგიური პროფილაქტიკის სახით».

ტყუილად ლაპარაკობთ პარტიულ აღმზრდელობით-იდეოლოგიურ პროფილაქტიკაზე წარსულში. ნუთუ დაგავიწყდათ ოზურგეთელთა აზრის გაუთვალისწინებლად რომ აპირებდით ღვალიძეების დატოვებას და საერთოდ არ გიფიქრიათ თუნდაც იმ ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრაზე, რომლის გამგეობის წევრებიც ბრძანდებოდით? ან იქნებ ის არ შეეფერება სინამდვილეს, რომ შეხვედრაზე, რომელიც მაინც შედგა, ეროვნული ორგანიზაციების ლიდერთა სახელებითა და ადამიანების შეცდომაში შეყვანით პარტიული აღმზრდელობით-იდეოლოგიური პროფილაქტიკის გზით შეეცადეთ თქვენ და რეზო ჩხეიძე საკუთარი აზრის სხვებისათვის თავს მოხვევას? აკი აღიარეთ კიდეც ბატონო რეზო, სხვა გამოსავალი რომ აღარ გქონდათ: «არ ვარ ბატონო სახალხო ფრონტის სახელით ჩამოსული, პარტიის ცკ-ს წევრი ვარ და მისი სახელით გელაპარაკებით», რამაც საბოლოოდ გაარკვია ყველაფერი. გაიხსენეთ იმ შეხვედრაზე ოზურგეთის სახალხო ფრონტის რომელ არგუმენტს დაეთანხმეთ? არც ერთს, არადა არგუმენტები საკმაოდ იყო. ჯერ ერთი, რომ ერთ ადამიანზე 200 კვ.მ. სავარგული მოდის; მეორე, რომ სტიქიით დაზარალებული აჭარლების სამასი ოჯახი იყო მისაღები რაიონში და ყველა ეროვნული ორგანიზაცია ერთობლივად ძლივს ახერხებდა სოფლებში მათ ჩასახლებას (რაიონში ყოველი მე-6 ადამიანი ზემო აჭარიდანაა ჩამოსახლებული), რათა აჭარის ხელისუფალთა მიერ დაგეგმილი აჭარლებსა და გურულებს შორის პროვოკაციული დაპირისპირება აგვეცილებინა თავიდან. ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენ და ქალბატონმა ნაირამ ცინიკურად რომ განაცხადეთ რა შუაშია აჭარის ავტონომიის პრობლემები მესხების ჩამოსახლებასთან. თქვენ წარმოიდგინეთ ავტონომიების საფია დღესაც მოქმედებს არარსებული კონფლიქტის შესაქმნელად და ფიზიკური ძალის გამოყენებასაც კი არ ერიდება ამისათვის – (რის დასტურად 11 ოქტომბერს ქობულეთში ხელისუფალთა მიერ წვევამდელთა აქციის დარბევაც საკმარისია, სადაც შეგნებულად ოზურგეთიდან, ლანჩხუთიდან, ბათუმიდან ჩასულები დააკავეს მხოლოდ).

მაგრამ არა, არცერთ თქვენგანს არაფრის გაგონება არ გსურდათ იმ დღეს, აბა როგორ შეიძლებოდა თქვენი «კომპეტენტური» აზრის საწინააღმდეგო გამოეთქვა ვინმეს.

ნეტა თუ შეამჩნიეთ თქვენი, წმინდა ბოლშევიკური (თუმცა სხვებს კი სდებთ ამაში ბრალს) მეთოდებით კინაღამ საშინელება რომ ჩაიდინეთ, ოზურგეთელ მესხებთან ათი წლის განმავლობაში ნაგროვები თბილი დამოკიდებულება კინაღამ რომ გადაგვიყარეთ წყალში.

ბატონო რეზო, გახსოვთ ალბათ, როგორ ეწეოდით სპეკულაციას ეროვნული მოძრაობის ლიდერების, სახალხო ფრონტის გამგეობის სახელით, არწმუნებდით ხალხს, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ე.წ. «თურქ მესხთა» ჩამოსახლებას. როცა დაინახეთ, რომ ოზურგეთელებმა კარგად იცოდნენ ყველა ორგანიზაციათა პოზიცია, უცებ გადაბრძანდით პარტიული აპარატის ბანაკში, ამანაც რომ არ გაჭრა სამომავლო მოქმედების გეგმა შეიმუშავეთ. ჩვენი აზრით სწორედ ამის შედეგი იყო ოზურგეთში გამართული მეორე შეხვედრა, რომელიც მართალია პირველისაგან დიამეტრალურად განსხვავდებოდა. ამ შეხვედრის გახსენება ძალზე მტკივნეულია ყველა ოზურგეთელისათვის, იმ დღეს ბატონ მერაბ კოსტავას უკანასკნელად შევხვდით. ბატონმა მერაბმა თქვენგან განსხვავებით, როცა ყველაფერი გაიგო, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეეფერებო-

გაგრძელება მე-2 გვ-ზე

და გვითხრა: «არ ვიცოდით თუ ასეთი მდგომარეობა იყო თქვენთან, თორემ არ ჩამოვიდოდით».

შეხვედრისას ბატონი მერაბი მხოლოდ დვალიძეთა ოჯახზე ლაპარაკობდა და არავითარი განცხადება არ გაუკეთებია ე.წ. «თურქ მესხთა» მთლიანად დაბრუნების სასარგებლოდ, რაც ბუნებრივი იყო ნამდვილი მამულიშვილისა და საქართველოს მდგომარეობაში ღრმად ჩახედული ადამიანისაგან.

ამიტომ მეტად დამაფიქრებელია გაზეთის რედაქციის მცდელობა მოყვანილი დოკუმენტები განიხილოს «თურქ მესხთა» საერთო პრობლემასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით ეს ყოვლად დაუშვებელია და სერიოზული განსჯის საფუძველს იძლევა.

დაბოლოს, «ქართულ ფილმში» გამოქვეყნებული ქარელის რაიკომის მდივნის სახელზე გაგზავნილი მიმართვის შესახებ: ჩვენ მართალია არავითარი დასკვნის გაკეთება არ გვქონია მიზნად, მაგრამ რედაქციისაგან მოვითხოვთ პასუხის გაცემას, თუ რატომ მეორდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის კარლო ბარდაველიძის ხელმოწერა და რატომ შეიმჩნევა ზოგიერთ ადგილას რამდენიმე ფურცლის ქსეროკოპირების წესით ერთდროულად გადაღებისათვის დამახასიათებელი მკრთალი ხაზები.

კობა ბერიძე
ოზურგეთის სახალხო ფრონტის
გამგეობის თავმჯდომარე

გაზეთი «ოზურგეთის მოამბე»,
ნოემბერი, 1989 წ.

---

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

„კულტურულ კაცობრიობას - გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს, მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ პრექრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შეჰქმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მჩიდარი აქტუალური ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც ერთად-ერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპიული ჰუმანიზმისა.

XVIII საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი, ქართველი ერი მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1883 წ. საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში. მაგრამ სამწუხაროდ გაცრუებული იმედების ამარად დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიზმსა და აუტანელ შევიწროებას, ამიტომ 1917 წელს, დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთის იმპერია; მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს პატარა, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველა დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გაველურებისა და გახრწნის კარამდე. ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მორწყულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან, ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას. დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა-წმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ. ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება, მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია ეს ძველის-ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა დღეს უფლებააყრილია იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამაღლებისა. ამ პირობებში ჩემს მწყემს-მთავრულ მოვალეობად ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებასა და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშებისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოთ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოისა
1922 წელი 7 თებერვალი, ტფილისი

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

გენუის კონფერენცია გაიმართა 1922 წლის მაისში. დღის წესრიგში იდგა მრავალი საჭირბოროტო საკითხი, მათ შორის ახალი პოლიტიკური რეალობებისადმი დამოკიდებულების პრობლემა. კონფერენციას ესწრებოდნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი: ლოიდ-ჯორჯი, ლორდ კერზონი, ჟ.ლ.ბარტუ, ვირთჰი, ფაქტა, აშშ-ს ელჩი ჩაილდი და სხვანი. საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა გ.ჩიჩერინი.

მემორანდუმის გაგზავნიდან მოკლე ხანში კათოლიკოს-პატრიარქი, მასთან ერთად რამოდენიმე სამღვდელო პირი დააპატიმრეს. როგორც საგანგებო კომისიის საბრალდებო დასკვნიდან ჩანს გენუის კონფერენციისადმი მიმართული მემორანდუმის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ საკათალიკოსო საბჭოს წევრნი: დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1933 წლიდან), დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი, სიონის ტაძრის წინამძღვარი მარკოზ ტყემალაძე, ნიკოლოზ თავდგირიძე, აგრეთვე შალვა მაღლაკელიძე (შემდგომში ემიგრანტი, დასავლეთის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე). დეკანოზ კაპანაძეს, რომელიც მიწვეული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, უნდა გადაეცა იგი ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელისათვის, როგორც საქართველოს ინტერესების დამცველთათვის. აღნიშნული მოწოდება იმავე წლის მაისში დაიბეჭდა გენუის გაზეთში „კაფარა“.

სამღვდელო პირთა ჯგუფს საგანგებო კომისიამ მიუყენა სისხლის სამართლის კოდექსის 10,15,16, 60,69, - III ნაწილი, 73-74,116 - II ნაწილი და 131 მუხლები, დაიწყო კათალიკოს-პატრიარქის ნამდვილი გოლგოთა. მის წინააღმდეგ აღიძრა სასამართლო პროცესი. პრესაში გაჩაღდა არნახული ვაკხანალია (ამჯერად დარტყმის ობიექტი იყო „წვერცანცარა კონტრრევოლუციონერი“, „მოღალატე ფარისეველი“ და ა.შ.) დოკუმენტური მასალები ცხადჰყოფენ, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ეკლესიაზე შეტევა ხორციელდებოდა საეკლესიო ძვირფასეულობათა ჩამორთმევის გენერალური ხაზით - (იხ. ლენინის საიდუმლო წერილი პოლიტბიუროს წევრებისადმი). ეკლესიის ძარცვის პარალელურად ხდებოდა სასულიერო პირთა და მორწმუნეთა რეპრესირება და ფიზიკური განადგურება. ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ საეკლესიო ძვირფასეულობათა სასწრაფო ჩამორთმევა (რომელიც შეფასებული იყო რამოდენიმე მილიონ თუ მილიარდ მანეთად), ლენინისავე ფორმულირებით სახელმწიფოს ესაჭიროებოდა გენუაში საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად (გარდა იმისა, რომ ეს განძი სახელმწიფოს ესაჭიროებოდა ხაზინის შესავსებად).

ანტირელიგიური კამპანია საქართველოში თანდათან ძლიერდებოდა. Christianos non esse (ქრისტიანები არ უნდა იყვნენ) - გვამცნობს დევნის ეპოქის რომაული პრინციპი. ამჯერად იგი მთელი სისრულით იქნა აღდგენილი. ქვეყანაში, სადაც სიმართლე პატივაყრილი და ბორკილდადებულია, ცხადია არ დაუშვებდნენ ისეთი პიროვნების თავისუფალ, ღვთივკურთხეულ მოღვაწეობას, როგორიც იყო კათოლიკოსი ამბროსი. ყოვლადუსამღვდელოესმა თითქმის ხუთი წელიწადი გაატარა მეტეხის სატუსაღოში (1924 წელს მასთან ერთად აქ მოათავსეს კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, ასევე მრავალი ქართველი მოღვაწე თუ მამულიშვილი). ტყვეობაში მძიმედ დაავადებული პატრიარქი გათავისუფლების უმალ აღესრულა - 1927 წელს და გაიზიარა იოანე ოქროპირისა, მაქსიმე აღმსარებლის და სიმართლისათვის დევნილ წმიდა მამათა ბედი, რამეთუ გულისხმაეყო სახარების სიტყვები: „გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე დევნნეს წინასწარმეტყუელნი უწინარესთქუენსა“.

კ.ზ.გამსახურდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეროვნული საკითხი:

## დასავლეთის "სოვეტოლოგების" შეხედულება

დასავლეთში მცხოვრებმა ბევრმა „სოვეტოლოგ-მა" მხოლოდ უკანასკნელ ხანს მიაქცია ყურადღება საბჭოთა კავშირში ეროვნულ საკითხებზე წარმოშობილ პრობლემას ბევრი მკვლევარი, საერთოდ არ ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის მრავალეროვან შემადგენლობას: სსრკ-ს თვლიან რუსეთად, ხოლო საბჭოთა კავშირის ყველა მცხოვრებს - რუსებად. ზოგიერთს სჯეროდა კიდეც, რომ ეროვნული საკითხი, როგორც ამას ხშირად ამტკიცებდა მოსკოვი, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილია. სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ არარუსული პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი, მრავალი წლების მანძილზე „მეცნიერულ იზოლაციაში" მუშაობდნენ. დასავლეთის „სოვეტოლოგთა" (ისევე როგორც მთელი საზოგადოების) ცოდნა ამ დარგში ფრიად სუსტია. ამას თავისი მიზეზები აქვს.

დასავლეთში ცოტაა ისეთი „სოვეტოლოგი", რომელიც სსრკ ხალხთა ენებს ფლობს. კვლევით საქმიანობას ძირითადად ემიგრანტები ეწევიან, რომელთა ნამოღვაწარს ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად სერიოზულად არ იღებს „ისევ ეს უბედური ემიგრანტები თავიანთი საჩივრებით". მკვლევართა ობიექტურობაში დასაეჭვებლად მათ ჰქონდათ გარკვეული საფუძვლები, რადგანაც ეროვნული სიძულვილი, ანუ „ანტისაბჭოური" იდეოლოგიური პოზიცია, ხშირად ფრიად ნათელი იყო, იმ შემთხვევებში კი, როდესაც მკვლევარი ძლევდა ზემოაღნიშნულ მცდარ აზრს, წინააღმდეგობად რუსეთის საზღვრებს გარე-საბჭოთა კავშირზე ცოდნის უკმარისობა აღიმართებოდა ხოლმე. დასავლეთის „სოვეტოლოგთა" შორის ჩამოყალიბდა ორი ფრაქცია: პირველი წინასწარმეტყველებდა სსრკ-ს სწრაფ დაშლას, მეორე - სსრკ-ს შემდგომ არსებობას „ცენტრსა" და რესპუბლიკებს შორის უწყვეტი „მეტოქეობის" პირობებში. გავიხილოთ თანმიმდევრულად ორივე შეხედულება. პირველის მიმხრენი ამტკიცებენ: „ყველა იმპერია იშლება", ამ ისტორიულ ჭეშმარიტებას ისინი იღებენ აქსიომად, ხოლო სსრკ-ს თვლიან იმპერიად. ამ შემთხვევაში დასკვნა სახეზეა - დაშლა გარდუვალია. ამასთან ერთად მათ უჭირთ იწინასწარმეტყველონ, როგორ მოხდება ეს. წარსულში ყველა იმპერია დაიშალა, ომების პირობებში. ბირთვული იარაღის ეპოქაში დასავლეთის ქვეყნების ომი სსრკ-თან წარმოუდგენელია. ძნელია დეკოლონიზაციის პროცესების წარმოდგენაც, რადგან კოლონიური რესპუბლიკები განლაგებული არიან იმპერიის ცენტრთან და არა ცხრა მთის იქით. შეიძლება, ნამიბია დარჩეს ერთადერთ ისტორიულ გამონაკლისად. საუბარი რომც დავიწყოთ გამოყოფაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთადერთმა ანალოგიურმა შემთხვევამ (ბანგლადეში) გამოიწვია საშინელი სისხლისღვრა. ეხლა დროებით თავი დავანებოთ ისტორიულ პრეცენდენტებს და მივმართოთ საბჭოთა სპეციფიკას.

დაშლის თეზისის მომხრე „სოვეტოლოგები" მის შესაძლო მიზეზებს მცირე ერების ცენტრთან ბრძოლაში კი არ ხედავენ, არამედ „დიდ" ეროვნულ გარეუბნებში. ამ საკითხთან დაკავშირებით „მომქმედი" სხვებზე მეტად უკრაინელი და მუსულმანი ხალხი მიიჩნევა. უკრაინას ზოგჯერ თვლიან „ყველაზე დიდ ლუკმად", რომლის გადაყლაპვაც იმპერიას არ ძალუძს. გავრცელებულია მოსაზრება, რომ სწორედ უკრაინელთა ეროვნული მოძრაობის აღმავლობა შეიძლება გახდეს გადამწყვეტი სსრკ-ს დაშლისა. მუსულმანი ხალხი, „სოვეტოლოგთა" აზრით, კავშირის არსებობას ემუქრებიან მძაფრი დემოგრაფიული მატებით, რის შედეგადაც ეს ხალხი შეიძლება კონტროლს არ დაემორჩილოს, როგორც თავის რესპუბლიკებში, ასევე კავშირის მასშტაბით. ირანში ხომეინის რევოლუციის შემდეგ დასავლეთის მეცნიერები ცდილობენ რა საბჭოთა შუა აზიაში რელიგიური ფანატიზმის არსებობა დაამტკიცონ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სსრკ-ს მუსულმანურ ხალხებს.

„სოვეტოლოგები", რომლებიც არ თვლიან სსრკ-ს დაშლას გარდაუვალად, ამ თეზისის დაცვას ცდილობენ. მათი აზრით, მუსულმანმა ხალხმა მნიშვნელოვანი სეკულარიზაცია განიცადა, ირანის მაგალითი არ აღმოჩნდა მათთვის გადამდები, დემოგრაფიული ძალა სრულებითაც არ გამხდარა პოლიტიკური. უკრაინელებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან თვითონ უძლურნი არიან დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო მათი თანამშრომლობა დანარჩენ არარუს ხალხებთან ფრიად გართულებულია. „სოვეტოლოგები", რომლებიც წინასწარმეტყველებენ საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ხაზს უსვავენ, რომ ეროვნული თვითშეგნება არ მჟღავნდება ყველა საბჭოთა ხალხებში, ზოგიერთი თვითონაა გათიშული. მაგალითად, აღმოსავლეთი უკრაინა უფრო მეტად რუსიფიცირებულია, ვიდრე დასავლეთი. მათი აზრით, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ეროვნული კუთვნილება - ეს მხოლოდ საზოგადოებრივი კუთვნილების ერთ-ერთი სახეა, ამასთან ერთად - ნაკლებად მდგრადი, კლასობრივი, ასაკობრივი და ა.შ. თითქოს ამკრთალებენ ეროვნული კუთვნილების ზემოქმედებას და აიძულებენ თითოეულ ინდივიდს ცალკ-ცალკე თავისი მიზნების მისაღწევად ითანამშრომლონ სხვა ერის ადამიანებთან.

დასკვნები ეროვნული თვითშეგნების სისუსტის შესახებ საბჭოთა პირობებში მცდარი აღმოჩნდა. ამის დასტურია უკანასკნელ სამ წელს მომხდარი ამბები ალმა-ატაში, თბილისში, მთიან ყარაბახში, ბალტიისპირეთში და სხვა. ვერც ერთმა დასავლეთელმა „სოვეტოლოგმა" ვერ გაბედა ეწინასწარმეტყველა მომავალი და მაინც რიგ გამოკვლევებში გვხვდება ახალი ტენდენციები.

„პერესტროიკამ" და „გლასნოსტმა" საბჭოთა კავშირში თავისი ზემოქმედება მოახდინეს ეროვნულ საკითხზე. ამჟამად თითქმის ყველა ხალხებს აქვთ შესაძლებლობა და *de facto* უფლება პოლიტიკური მოღვაწეობისა. ცენტრსა და ეროვნულ ჯგუფებს შორის ამჟამად არსებული ძალთა თანაფარდობა ჯერჯერობით თავიდან აცილებს სწრაფი დაშლის შესაძლებლობას. შეიმჩნევა დიფერენციაციის გაძალებული პროცესი - როგორც ცენტრის დამოკიდებულებისა სხვადასხვა რესპუბლიკების მიმართ, ასევე ცალკეული რესპუბლიკების საშინაო განვითარებაში. ასე მაგალითად, ცენტრი უფრო მოთმინებით ექცევა ბალტიისპირეთს, ვიდრე უკრაინასა და ბელორუსიას. შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი მიზეზები: ჯერ ერთი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები არ არიან ტერიტორიულად დიდი - აქედან გამომდინარე, ისინი ექვემდებარებიან კონტროლს. მეორეც - ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა ბალტიისპირეთში უფრო განვითარებულია, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში. პირველი თვალსაჩინო შედეგები სახალხო მეურნეობის სფეროში „პერესტროიკას" შეიძლება მისცეს სწორედ ბალტიისპირეთმა, ეს ცენტრისთვის ხელსაყრელი იქნებოდა. მესამეც - ბალტიისპირეთის კულტურა წარმოადგენს ევროპული კულტურის შემადგენელ ნაწილს, გორბაჩოვი კი ცდილობს შეიყვანოს საბჭოთა კავშირი ევროპულ თანამეგობრობაში - ბალტიისპირეთს შეუძლია ერთგვარი ხიდის ფუნქცია შეასრულოს.

იმპერიის დაშლის თეზისი ჯერ კიდევ გვხვდება მრავალ გამოკვლევაში. ამასთან ერთად სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს ეგრეთ წოდებული „ოტომანიზაციის ვარიანტი", როგორც სსრკ-ის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი შესაძლო ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ოტომანთა იმპერიის დასასრული პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო, დაშლა თანდათანობით მიმდინარეობს - ცენტრი თანდათანობით კარგავდა კონტროლს პერიფერიებზე. ამასთან ერთად მიმდინარეობდა გარეუბნების ადგილობრივი ხელისუფლების გაუცხოება თავისი ხალხის მიმართ. დასავლეთის „სოვეტოლოგები" იყენებენ ოტომანიზაციის ამ მეტაფორას იმის საჩვენებლად თუ მოსკოვმა როგორ შეიცვალა ურთიერთობა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ასევე საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. არიან „სოვეტოლოგები", რომლებიც გამოთქვამენ ეჭვს რომ ოტომანიზაციის კონცეფცია გამოსადეგია საბჭოთა კონტექსტისადმი, რადგან, მათი აზრით, დიფერენციაციის დღევანდელი პროცესი არც თუ ისე ერთგვაროვანია.

ეროვნულ მოძრაობებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები. დასავლეთის „სოვეტოლოგთა" აზრით, დამოუკიდებლობის მოთხოვნები ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ფარგლებს გარეთ იშვიათად გვხვდება. დემოკრატიისკენ მისწრაფება, დემოკრატიული ტრადიციები ბალტიურ მოძრაობებში უფრო ნათელია, ვიდრე სხვა რეგიონებში. გარკვეულწილად, ბალტიისპირეთში პაექრობას დემოკრატიული და ეროვნული ტენდენციები - ერთი პირველ პლანზე აყენებს ადამიანის უფლებებს, მეორე - კორპორაციულ კუთვნილებას და ერის უფლებებს.

დასავლეთელი მეცნიერები და პრესის წარმომადგენლები იშვიათად არჩევენ ერთი მოძრაობის სპეციფიკას მეორისაგან. ავტორები ხშირად „ერთ გროვად ალაგებენ" ყველა „ნაციონალიზმს", ადარებენ რა ერთმანეთს: სახალხო ფრონტს, „პამიატს", მუსულმანურ ფანატიზმს და ა.შ. მომავალში ბალტიისპირელთა დემოკრატიული მისწრაფებები შეფასდება იმით, თუ როგორ მიიზიდავენ ისინი თავიანთ მოძრაობაში სხვა ერების წარმომადგენლებს. დემოკრატიის შესაქმნელად მარტო არჩევნები არ კმარა. თუ არჩევნები მიმდინარეობს ეთნიკურად დანაწევრებულ საზოგადოებაში და თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს მხოლოდ თავისი ერის კანდიდატს, მაშინ არჩევნები ემსგავსება მხოლოდ მოსახლეობის აღწერას.

მთლიანობაში დასავლეთი განგაშით აღიქვამს იმ ფაქტს, რომ ხალხი საბჭოთა კავშირში ამოძრავდა. იხსენებენ ორ მსოფლიო ომს, რომელთა წარმოშობაში გარკვეული როლი ითამაშა ეროვნულმა ქედმაღლობამ. სისხლისღვრა საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რეგიონში (მაგალითად სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი) კი იწვევს არა სიმპატიებს ამ ხალხისადმი და სურვილს მათ მხარდასაჭერად, არამედ შიშს დამნაშავეების და თანაგრძნობას მსხვერპლთა მიმართ. თუ ბალტიისპირეთის ხალხებს სჭირდებათ დასავლეთის მხარდაჭერა და პატივისცემა, მათ უნდა იბრძოლონ მშვიდობიანი და პარლამენტური მეთოდებით.

ნილ მუიჟნიეკსი
გაზ. „ატმოდა" №32
თარგმნა ზ.თაბაგარმა

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ: ზემოთმოყვანილ ტექსტში ბევრი მოსაზრებაა სადაო: თუმცა დასავლეთის „სოვეტოლოგების" გამტყუნება საბჭოთა პრობლემების სუსტად ცოდნაში არ შეიძლება, რადგან საბჭოთა კავშირში არსებული ეროვნული და უამრავი სხვა პრობლემის შესწავლა და გაშუქება, საბჭოთა სააგენტოებისა და საინფორმაციო საშუალებების მიერ სპეციალურად დასავლეთისთვის შეთითხნილი და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანისათვის გათვალისწინებული მცდარი და ყალბი „ინფორმაციებით" თითქმის შეუძლებელია; გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ტრაგედიამდე ორი კვირით ადრე, დასავლეთის პრესაში გამოჩნდა რამდენიმე პუბლიკაცია „აფხაზთა" უუფლებობის შესახებ... რასაც, I5 ივლისს მოყვა კიდეც „ქართველთა მოძალადეობის დამადასტურებელი ფაქტი...

ცენტრიდან სსრკ-ს ტერიტორიაზე ინსპირირებულ ყოველ აქციას, წინ უსწრებს საზოგადოებრივი აზრის მისთვის ხელსაყრელად დასამუშავებელი პუბლიკაციები დასავლეთის პრესაში, ამიტომ თვით აქციას დასავლეთი უკვე შემზადებული ხვდება.

ჩვენი, სოციალისტური სისტემის კარგად მცოდნე „სოვეტოლოგებიც" კი ვერ ჩასწვდებიან ჩვენს პრობლემებს ღრმად, რამეთუ ისინი ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებზე აღზრდილი და მოაზროვნე ადამიანები, ვერც კი უშვებენ მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი ტოტალიტარიზმის, უწესივრობის, ძალადობისა და ქაოსის სისტემაში დამკვიდრებული იმ უპატიოსნო ქმედებების უკვე ავტომატურად მომქმედი მექანიზმის არსებობას, რომელიც ხანგრძლივი მოქმედების ნაღმივით დაპროგრამდა და ჩაიდო საბჭოთა ბოლშევიკური სისტემის თეორიულ და შემდეგ უკვე პრაქტიკულ სათავეებში.

---

### პ.ი.პესტელი — რუსი დეკაბრისტების პროგრამის „რუსკაია პრავდა"-ს ავტორი

I. სრულად დავიპყროთ ყველა ხალხები, რომელიც ცხოვრობს და ყველა მიწები, რომლებიც მდებარეობენ რუსეთსა და სპარსეთს, აგრეთვე თურქეთს შორის, გადაჭიმული საზღვრებიდან ჩრდილოეთით, მათ შორის ამჟამად თურქეთის კუთვნილებაში მყოფი შავიზღვის ნაწილი.

2. გაიყოს კავკასიის ყველა ხალხების ძალები ორ ჯგუფად: მორჩილებად და ურჩებად. პირველნი დავტოვოთ თავიანთ სადგომებში და მივცეთ მათ რუსეთის მმართველობა და წყობა, ხოლო მეორენი, პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილნი, რუსეთის სიღრმეში ძალით გადავასახლოთ.

3. დავაარსოთ კავკასიის მიწებზე რუსული დასახლებები და ამ რუს გადმოსახლებულებს შორის დავანაწილოთ ურჩი ხალხების მიწები, რათა ამ ხერხით წაიშალოს კავკასიაში ყოფილ (ანუ ახლანდელ) მცხოვრებთა ყველა ნიშანი და აშენდეს ეს მხარე მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად.

პ.ა.პესტელი, „რუსკაია პრავდა"
ს-პეტერბურგი, 1906 წ. გვ. 48
(რუსულ ენაზე)

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. გ. გუმბარიძეს

გაცნობებთ, რომ სამხრეთ ოსეთის არაფორმალური გაერთიანება „ადამონ ნიხასი“, რომელმაც მოახდინა ოლქში მდგომარეობის დესტაბილიზაცია, აყენებს კვლავ გაუმართლებელ მოთხოვნებს და პრეტენზიებს, რითაც ჩირქს სცხებს ქართველი ერის ეროვნულ ღირსებას, აყალბებს საქართველოს ისტორიის საკითხებს, რითაც შუღლს აღვივებს ქართველ და ოს ხალხებს შორის.

„ადამონ ნიხასის“ მიერ წამოყენებული მოთხოვნები უხეშ, ხულიგნურ, ანტიქართულ გამოხტომებთან ერთად ძირს უთხრის ქართველი და ოსი ხალხის კეთილ ურთიერთობას, საფრთხის ქვეშ აყენებს მომავალში ჩვენი მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობას. ამას ემატება ისიც, რომ ზოგიერთი თანამდებობის პირი, ქართველი, ეწევა ორმაგ თამაშს და „ადამონ ნიხასს“ პირდება, რომ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება, თან საქართველოს ცკ-ს აწვდის არასწორ ინფორმაციებს, ვითომც ყველაფერი რიგზეა. ამა წლის 18 ოქტომბერს ცხინვალში ჩამოვიდა საქართველოს ცკ-ის კომისია გ.დ. კასოვსკის ხელმძღვანელობით და მრავალსაათიანი მოლაპარაკება გამართეს „ადამონ ნიხასთან“ და მტკიცედ აღუთქვეს რომ დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებს კი მათ კატეგორიული უარი უთხრეს მიღებაზე და მოსმენაზე.

ამჟამად, „ადამონ ნიხასი“ გააფრთებით იბრძვის პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ა.გ. ჩეხოევის დასამხობად, რადგან მან უარი განაცხადა გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა ადლეიბამ აფხაზეთში ამასთან „ადამონ ნიხასს“ სურს ა.გ. ჩეხოევის ადგილზე გაიყვანოს თავისი კანდიდატურა, პირწავარდნილი ნაციონალისტი, რომელიც ისედაც დევნილ და შევიწროებულ ქართველობას სულ განდევნის ოლქიდან. ამიტომ ა.გ. ჩეხოევის განთავისუფლება დაკავებული პოსტიდან მოცემულ ეტაპზე მიგვაჩნია მიზანშეუწონლად და დიდ პოლიტიკურ შეცდომად.

ჩვენი მოთმინების ფიალა უკვე ივსება და თქვენ პატ. გივი გრიგოლის ძევ, დაბეჯითებით გთხოვთ და მოვითხოვთ:

I. არავითარი დათმობა ოსი სეპარატისტების მიმართ, - მათ მიმართ ყოველგვარი დათმობა საქართველოს ღალატია.

2. დაუყონებლივ დაიგმოს „ადამონ ნიხასის“ მოთხოვნები, რომელიც უმართებულოა საქართველოს მიმართ, როგორც კონსტიტუციურად, ისე მოქმედი კანონმდებლობით.

3. დაუყოვნებლივ იქნას მიღებული გადამწყვეტი ზომები, საქართველოს მოღალატეების მიმართ, რომლებსაც სურთ საქართველოსგან მისი ისტორიული ტერიტორიის მოწყვეტა.

პატ. გივი გრიგოლის ძევ, ჩვენ დიდი იმედით ველით თქვენს რეაგირებას ჩვენს სამართლიან თხოვნაზე, რამეთუ თქვენ ხართ პირველი მდივანი, რომელიც ჭეშმარიტად ქართველი ხალხის კანონიერ ინტერესებს იცავს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ საქართველოს მთავრობა დათმობაზე წავა ოსი სეპარატისტების მიმართ, მაშინ, გთხოვთ გაგვიმზადოთ ადგილი 40 ათასი ოჯახის დასასახლებლად, რადგან ქართველობა დატოვებს ისტორიულ სამაჩაბლოს.

სამაჩაბლოს მთელი ქართველი მოსახლეობა

სსფ-ის შიდა ქართლი-სამაჩაბლოს რეგიონალური სახალხო ფრონტი

წმ. ილია მართლის საზოგადოების სამაჩაბლოს ფილიალი

---

## მ ო ძ ა ლ ა ძ ე ნ ო !

**1989 წლის 23 ნოემბერს, დღის 3 საათზე, სამაჩაბლოს ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ცხინვალის ცენტრში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ინიციატივით გაიმართება სანქცირებული მიტინგი, რომლის ძირითადი თემებია:**

**1. საქართველოს ეროვნული პრობლემები თანამედროვე ეტაპზე.**

**2. რეფერენდუმი**

**3. ეროვნებათა შორისი ურთიერთობების ნორმალიზაციის საკითხები.**

**4. ქართული მოსახლეობის ეროვნული და ადამიანური უფლებების დაცვა ისტორიული სამაჩაბლოს მიწა-წყალზე.**

**ამ დღეს ცხინვალისაკენ დაიძრება მთელი საქართველო!**

**მიტინგში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები.**

**შეკრება დაიწყება დილის 9 საათიდან სპორტის სასახლესთან და კინოს სახლთან, მობილიზებული იქნება ტრანსპორტი.**

**ყველანი ცხინვალისაკენ!**

**ჩვენთან არს ღმერთი!**

**გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!**

**წმ. ილია მართლის საზოგადოება**

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია**

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი**

**ეროვნული ღირსების ჯგუფი**

მშვიდობიანი მანიფესტაცია 23 ნოემბერს 11 საათზე თბილისიდან სამაჩაბლოსაკენ დაიძრა. მანიფესტანტებს გზადაგზა უერთდებოდნენ სხვადასხვა რაიონებისა და სოფლების მცხოვრებნი. ავტობუსებიდან სამფეროვანი დროშები ფრიალებდა. იყო პლაკატები: «გაუმარჯოს ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობას!», «სამაჩაბლო - საქართველოა!», «გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ საქართველოს!» და სხვ.

ცხინვალში წინასწარ დაყრილი ხმები (რაც «ადამონ ნიხასის» ჩარევის გარეშე არ მომხდარა) თითქოს ქართველები ოსებთან ანგარიშსწორებისათვის მოდიანო - გახდა საფუძველი იმისა, რომ მილიციისა და ჯარის ნაწილების კორდონმა ცხინვალისკენ მიმავალი კოლონები რამოდენიმეგზის შეაჩერა...

ცხინვალის მისადგომებთან კი - ქართველები, საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულ სამაჩაბლოში მიტინგზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად - არ შეუშვეს...

ოსებისაგან გამოგზავნილ დელეგაციას მხოლოდ 300 მომიტინგის შეშვების შესახებ, მანიფესტანტებმა უარი უთხრეს.

სხვა თუ არაფერი საქართველოში ამდენი ხნის მანძილზე მცხოვრებ ოსებს ქართველებისაგან სტუმართმოყვარეობა მაინც უნდა ესწავლათ...მაგრამ ისინი «უფრო დიდი მიზნებისათვის» ემზადებიან...

**რედაქციის საინფორმაციო ჯგუფი**

---

# საქართველოს სახალხო ფრონტი

POPULAR FRONT OF GEORGIA

№ 1/221 „30“ „ნოემბერი“ 1989 წ.

საქართველოს კპ ცკ პირველ მდივანს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, ბატონ გ. გუმბარიძეს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ნ. ჩითანავას

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ცხინვალის რაიონში ჩაყენებულია შინაგანი ჯარის ნაწილები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის შეტაკების აცილების საბაბით. უხეში და უტყუარი ინფორმაცია არსებობს იმის თაობაზე, რომ ეს შინაგანი ჯარი, რომლის პირადი შემადგენლობა რუსი ეროვნებისაა, სისტემატურად და გეგმაზომიერად ერღვევს ქართველი მოსახლეობის კანონიერ წინააღმდეგობას ოსი ეროვნების მოძალადეებისადმი, რომლებიც ქართველების ტერორიზებას ახდენენ. მოკლულია ერთი ქართველი, დაჭრილია მრავალი. სისტემატურად ხდება სროლა. ასეთ პირობებში შინაგან საქმეთა ნაწილები ეწევიან ქართველ მოპიკეტეთა განიარაღებას, რომლებიც თავის სოფლებს იცავენ თავდასხმისაგან და უშლიან მათ საქართველოს გარედან მომავალი მანქანების შემოწმებას შემოტანილი იარაღის ამოღების მიზნით. ოსების განიარაღება არ ხდება. შინაგანი ჯარები უშლიან ქართველ მილიციის ქმედებას და რამდენიმე შემთხვევაში განაიარაღეს კიდეც იგი. ქართველ მოსახლეობასთან ლაპარაკში შინაგანი ჯარების ჯარისკაცები და ოფიცრები აცხადებენ, რომ მოსულნი არიან ოსების დასაცავად, ვინაიდან ქართველები ოსებს ჩაგრავენ.

ყოველივე ეს სხვა არა არის რა თუ არ კრემლის შეგნებული კურსი საქართველოს ეროვნული ინტერესების შელახვისკენ მის მკვიდრ ტერიტორიაზე არაქართველი ეროვნული ჯგუფებისათვის უკანონო ავტონომიური უფლებების ნიცემასა და ამ უფლებების ძალდატანებითი გაფართოების გზით. ამ პოლიტიკის ანალოგიური გამოვლინებებია ქართველი მოსახლეობის გენოციდის მცდელობა მარნეულის რაიონსა და აფხაზეთშიც.

ამიტომ გთხოვთ წინამდებარე მიმართვის ადრესატებს, რომლებიც დღეს საქართველოში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელნი ბრძანდებით, რომ:

ა) ან დაუყოვნებლივ გაიყვანოთ შინაგანი ჯარები ცხინვალის რაიონის და ჯავის რაიონის ტერიტორიიდან;

ბ) ან საქვეყნოდ, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების წინაშე განაცხადოთ, რომ ვერ ასრულებთ მთავრობის ფუნქციებს საქართველოში იმიტომ, რომ თქვენი ხელისუფლება ფიქტიურია და პოლიტიკის ანტიქართული კურსი, რომელიც ფაქტობრივად ტარდება, მთლიანად კრემლის ნებითაა განსაზღვრული.

ამ მოთხოვნის შესრულება თქვენი მორალური მოვალეობაა და მისი შეუსრულებლობა სხვაგვარად ვერ შეფასდება თუ არ საქართველოს ეროვნულ ინტერესთა პირდაპირი ღალატი.

თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა 1 დეკემბრის 20 საათამდე, საქართველოს სახალხო ფრონტი მიმართავს მის ხელთ მყოფ ყველა ზომებს.

საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა

თბილისი, 30 ნოემბერი, 1989 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე პირობებში, ეროვნული ურთიერთობის გამწვავებისას გაიზარდა ინტერნაციონალური აღზრდის აუცილებლობა ქ.თბილისის მრავალეროვანი მოსახლეობისათვის, მათ შორის ოსი მოსახლეობისათვის.

ოსური კულტურის ცენტრის დაარსება ქ.თბილისში რამდენადმე აიღებს თავის თავზე ამ მეტად ძნელ და საპასუხისმგებლო, საზოგადოებრივად საჭირო ამოცანას, დააკმაყოფილებს თბილისელი ოსების თვითშეგნებას და ხელს შეუწყობს ეროვნული ურთიერთობის დაძაბულობის განმუხტვის კეთილშობილურ საქმეს. ცენტრი ასევე ხელს შეუწყობს ოსი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

## კულტურის ცენტრის ძირითადი დებულებანი, მიზნები და ამოცანები

თბილისის ოსური კულტურის ცენტრი „ნართ"-ი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც იღწვის თბილისელი ოსების მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის განამტკიცებს ხალხთა მეგობრობას.

I. ოსური ენის პროპაგანდა და შესწავლა:

-ოსური ენისა და ლიტერატურის საღამოს სწავლების კურსები;

-ფაკულტატური მეცადინეობების ორგანიზაცია სკოლის მოსწავლეებთან თავისუფალ დროს;

-ბიულეტენებისა და გაზეთის გამოცემა (ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე);

-ოსური გამომცემლობებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

II. ოსური ისტორიისა და კულტურის შესწავლა:

-რეგულარული სემინარების ჩატარება ოსი და ქართველი ხალხის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის ცალკეულ საკითხებზე;

-შეიქმნას: ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი;

-შეიქმნას მხატვრული თვითმოქმედი წრეები;

-შეიქმნას ქორეოგრაფიული სტუდია;

-შეიქმნას მუსიკალური სტუდია;

-შეიქმნას თეატრ-სტუდია;

-შეიქმნას სახვითი ხელოვნების სტუდია;

-შეიქმნას ოსური საესტრადო ჯგუფები;

-შეიქმნას ბიბლიოთეკა;

-შეიქმნას ეთნოგრაფიული ექსპედიციები;

-შეიქმნას ოსური სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი.

## თბილისის ოსური კულტურის ცენტრის "ნართ"-ის პროგრამა (პროექტი)

-ოსი მხატვრების გამოფენების მოწყობა;

-გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო საღამოების მომზადება და ჩატარება;

-დღესასწაულებში მონაწილეობა და მისი მუსიკალურ-მხატვრული გაფორმება;

-სპორტული სექციების გახსნა და ოსური ხალხური თამაშობების პროპაგანდა;

-სპორტული სპარტაკიადების მოწყობა სხვა ქალაქების სათვისტომოებთან.

III. ცენტრის უფლებები და მოვალეობები:

კულტურის ცენტრს უფლება აქვს:

-გახდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი;

-დებდეს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან.;

-მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის კულტურულ საქმიანობაში, მის მაკოორდინებელ საკანონმდებლო აქტების მომზადებაში ცვლილებათა და დამატებათა თაობაზე;

-აქტუალურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის გამოკვეთა და მისი საჯარო გამოხატვის უზრუნველყოფა;

-მოიწვიოს ოსური თეატრები ქორეოგრაფიული და მუსიკალური კოლექტივები;

-კულტურის ცენტრი მხარს უჭერს ოსურ სახალხო თეატრს მორალურად და მატერიალურად.

ოსური კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში, პასუხს აგებს თავისი ვალდებულებების შესაბამისად მთელი თავის კუთვნილი ქონებით.

IV. ცენტრის ქონება და სახსრები:

კულტურის ცენტრის მთელი საქმიანობა წარიმართება საკუთარი სახსრებით.

შემოსავლის წყაროებია:

-მოქალაქეებისა და ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნებაყოფლობითი ფულადი შენატანები ცენტრის ანგარიშზე;

-საგამომცემლო საქმიანობა;

-აუქციონები;

-გამოფენა-გაყიდვები;

-კონცერტები, სპექტაკლები და წარმოდგენები.

V. იურიდიული სტატუსი:

-ოსური კულტურის ცენტრი იურიდიული პირია;

-აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკში;

-აქვს შტამპი და მრგვალი ბეჭედი ემბლემითა და წარწერით.

VI. მმართველობის ორგანოები:

კულტურის ცენტრის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი. ეს ნიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას.

უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საერთო კრება. საერთო კრება ირჩევს საკოორდინაციო საბჭოს.

ცენტრის გამგეობის სტრუქტურას და რაოდენობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საერთო კრება.

საერთო კრება განიხილავს და ღებულობს პროგრამას. შეაქვს ცვლილებები და დამატებები და წარადგენს საქალაქო საბჭოში შემდგომი რეგისტრაციისათვის.

VII. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა:

ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა ხდება მხოლოდ ოსი მოსახლეობის თანხმობით.

საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე:

**რედაქციისაგან:** როგორც ჩანს საქართველოში ხიზნადმოღებული ოსების ნაწილს თავისი «საუკუნოვანი ოცნება»-ჩრდილო ოსეთთან შეერთება (სადაც სხვათა შორის არცერთი ოსური სკოლა არ არსებობს) და «ალანთა დიდი სახელმწიფოს შექმნა» (ადამონ ნიხასის» მიმართვები), თავიანთი კონსულტანტ-შემწყნარებლებისაგან დარიგებულებს, ბოლშევიკური - «სამართლებრივი ნორმებით სურთ (ისე დროდადრო ჰელსინკსა და ვენასაც ახსენებენ)...

საქართველოს ისტორიული სამაჩაბლოსა (რომელშიც მსგავსი «კულტურული ცენტრების» შექმნით ხელოვნურად მოხდა ჩრდილოეთიდან ოსების მოზიდვა) და მით უმეტეს საქართველოს დედაქალაქის ხარჯზე -«ოსურ-ალანური» სახელმწიფოს შექმნა არ მოხერხდება, რამეთუ ქართველებსაც აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე არსებობის მართლაც რომ საერთაშორისო სამართლით აღიარებული და დადასტურებული უფლებები, მით უმეტეს ახლა...

## აჭარელი ლტოლვილნი
## (რიბაკოვსკის გეგმა მოქმედებაში)

1981 წელს გაზეთ პრავდაში გამოქვეყნდა წერილები სსრ კავშირის მოსახლეობის მიგრაციის შესახებ, რომელთაგან ერთერთი, „მიგრაციის საქანელა", „პროფესორ" რიბაკოვსკისა (პრავდა II სექტემბერი) პირდაპირ აცხადებდა, რომ ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკათა მოსახლეობა ზედმეტ მიჯაჭვულობას ამჟღავნებს იმ ტერიტორიისადმი, ანუ „შეჩვეული პეიზაჟისადმი", რომელზედაც იგი ოდითგანვე მკვიდრობდა, არ იჩენს მიდრეკილებას სხვა რესპუბლიკებში (კერძოდ რსფსრ-ში) გადასახლებისაკენ და რომ ეს მავნე ტენდენციაა, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. რსფსრ-ს მოსახლეობის მიდრეკილება გადაადგილებისაკენ.კი მოწონებული იყო და წერილის ავტორი მოუწოდებდა სხვა რესპუბლიკების მკვიდრთ, მიებაძათ რსფსრ-ს მოქალაქეთათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორი მოითხოვდა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხების რუსეთში ნებაყოფლობით განსახლებას, ხოლო რუსეთის მოსახლეობას მოუწოდებდა ამ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე დამკვიდრებისაკენ. (ინტერესს არ იქნება მოკლებული ცოდნა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ქართული მოსახლეობის აყრისა და გადასახლების ამგვარ გეგმებს რუსული იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ცარიზმის ეპოქაში ამუშავებდა, კერძოდ ერთ-ერთი უმთავრესი იყო აჭარის მოსახლეობის თურქეთში გადასახლების გეგმა, ვინაიდან მეფის რუსეთს „მუსულმანური აჭარა" არაკეთილსაიმედოდ მიაჩნდა და სურდა მის ტერიტორიაზე რუსული მოსახლეობის გამრავლება).

ამგვარი თეორიული წინამძღვრები უძღოდა წინ აჭარის მთაგორიანი რაიონების ხულოს, ქედას და შუახევის მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას რუსეთში, კერძოდ კრასნოდარის მხარეში, რომელიც დაიწყო 1982 წლის მაისში და დღემდე გრძელდება.*

ამ მიგრაციას უწინარესყოვლისა ხელს უწყობს ე.წ. „აჭარის ასსრ-ში" შექმნილი ვითარება: კორუფცია, უსამართლობა, სიძვირე, უმიწობა; უბინაობა, მძიმე ეკონომიური პირობები მოსახლეობისა. ასე მაგალითად, ხულოს რაიონში დამატებითი მიწის ნაკვეთებს აძლევენ მხოლოდ შეძლებულ და გავლენიან ოჯახებს, ისიც ქრთამის გაღების შედეგად. თითოეულ ოჯახს 2500 მ-დე მიწა აქვს. სანამ ოჯახი 12 სულს არ მიაღწევს, მას არ ერგება დამატებითი მიწის ნაკვეთი და რომც ერგებოდეს, უქრთამოდ მას მაინც ვერ მიიღებს.

სოფელი იზრდება, მოსახლეობა მრავლდება, იქმნება ახალგაზრდა ოჯახები, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი, არ გააჩნიათ მიწა, მამისეული ოჯახები ვეღარ იტევენ მათ. სოფელში უგზოობაა, არ არის ელექტრობა, არ არის წყალი, არ არის კეთილმოწყობა, არ არის კლუბი, ახალგაზრდობა უკმაყოფილოა, მით უფრო რომ კოლმეურნეობაში მძიმე შრომა თვეში 40 მანეთსაც არ იძლევა და აი, კრასნოდარის მხარეში, სოფელ ლესოგორსკაიაში (ნიკოლენკოვო) აფრე ჩასახლებული რამდენიმე აჭარელი სწერს წერილებს თავიანთ ახლობლებს: ჩამოდით ლესოგორსკაიაში, მიწებს შეუზღუდველად მოგცემენ, მომარაგება კარგია, საბჭოთა მეურნეობაში იმუშავებთ, თვეში 150 მანეთამდე გექნებათ, გეგმებით არავინ შეგაწუხებთ, ყოველნაირად ხელს შეგიწყობენ, არის კლუბი, არის ტრანსპორტი, სახლები იაფია (მაგალითად ისეთი სახლი, როგორიც ქობულეთში 30 ათასი ღირს, აქ 5 ათასად იყიდება). თუ ხულოს რაიონის მაღაზიებში მისულ ტანსაცმელსაც კი რაიკომის პირველი მდივანი ანაწილებს, აქ თავისუფლადა ტანისამოსი, თუ აჭარაში პროდუქტების კრიზისია, აქ მაღაზიაში ახალი ხორცი იშოვება, კარაქი უჭალონოდაა. მეგობრებო, ჩამოდით. იხსენით თავი გაჭირვებისაგან, დამცირებისაგან, შეურაცხყოფისაგან, კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, აღმასკომის თავმჯდომარეების, რაიკომის მდივნების თვითნებობისაგან, რომელნიც ყველა ღონეს ხმარობენ, რათა აგყარონ მამაპაპეული მიწიდან.

და აჰა, აჭარის სოფლების: ნიგაზეულის, ოქტომბრის, ახალშენის, დღვანის, საოიბაურის და სხვათა მოსახლეობა (დავითაძეები, ფუტკარაძეები, ბოლქვაძეები, ხიმშიაშვილები, ცეცხლაძეები, ცივაძეები, აბაშიძეები და ა.შ.) ნელ-ნელა გადადის კრასნოდარის მხარის სოფლებში: ლესოგორსკაიაში, ლიბინსკში, ვოზნესენსკოეში, ალექსეევკაში, გეორგიევსკოეში. აქ მათ ყოველგვარ პირობებს უქმნიან, აქ ისინი კოლმეურნეობის მონებად აღარ გრძნობენ თავს, რომელთაც აუცილებლად 400 კგ. თამბაქო უნდა ჩააბარონ გეგმით. ლესოგორსკაიაში უკვე 60 ოჯახი ცხოვრობს, სხვა დანარჩენ სოფლებში კი 250 კომლზე მეტი. მათ ყოველგვარ პირობებს უქმნიან: აძლევენ მოსკოვში კომკავშირულ საგზურებს, ბინებს (თან უნარჩუნებენ სამოსახლოს კრასნოდარის სოფლებში). ქართველო კაცო, ოღონდ გადმოსახლდი რუსეთში, ოღონდ დაივიწყე შენი ენა, შენი მამაპაპა, შენი მთები, რუსეთის ყველა სიკეთე შენს ხელთაა. შეირთე რუსის ქალი, შვილები რუსულ სკოლაში მიაბარე, განა რუსული უფრო მეტად არ გამოადგებათ?

საქართველოში ქართველი გლეხი შედიხარ მაღაზიაში და იგი ცარიელი გვხვდება: იქ არც შაქარია, არც ხორცი, არც კარაქი, არც ტანსაცმელი, არც სხვა რამ. აქ კი მაღაზია მაღაზიას გავს, მაშ, რაღა გაკავებს აჭარაში?

ლტოლვილთა პირველი ნაკადი (უმთავრესად ახალგაზრდა ოჯახები) როგორც ჩანს კრასნოდარის მხარის შესასწავლად არის წამოსული. აჭარაში მათგან სიგნალს ელოდებიან ასობით მათი ნათესავე-

გაგრძელება მე-6 გვ.

- - - - - - - - -

* ამავე წელს შეიქმნა ქართველთა კომპლექტური დასახლება ქ.ვოლოგდაში, სადაც უკვე ქართველთა რამდენიმე მიკრორაიონია, არის ქართული სკოლა (ცხადია დროებით), საბავშვო ბაღი და სხვა. ქართველები აქ უმთავრესად სასოფლო-საამშენებლო კომბინატში მუშაობენ (ელევატორის ქ.№43). ვოლოგდაში დღეს 15 ათასამდე ქართველი ცხოვრობს (მუდმივად).

ბი, მევობრები, ახლობლები, რომელნიც აგრეთვე სვეგამწარებულნი არიან უმიწობით, უპინაობით, უსამართლობით, სიძვირით, ადმინისტრაციის კორუფციით, ბიუროკრატიზმითა და თავგასულობით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წითელწყაროსა და მესხეთში ჩამოსახლებული აჭარლებიც მიელტვიან რუსეთში გადასახლებას.

ადმინისტრაცია საკმაოდ გულგრილად უყურებს ყოველივე ამას, ხოლო ზოგ შემთხვევაში ხელსაც უწყობს. ასე მაგალითად, ხულოს რაიაღმასკომმა განუცხადა უკმაყოფილო ნაწილს მოსახლეობისას: თუ ასე გსურთ წასვლა, ჩვენ შეგვიძლია რუსეთს მიწა მოვთხოვოთ და გეგმურად ჩაგასახლოთ. ხოლო სალიბაურის მეურნეობის დირექტორმა რევაზ ბერიძემ, შანიძეების ოჯახს, რომელიც მას საჩივრებით არ ასვენებდა, გამოუტანა განაჩენი გასახლების შესახებ ისე, რომ არ მიუთითებია ჩასახლების ადგილი. (უპრეცედენტო შემთხვევა).

აჭარიდან მოსახლეობის მიგრაციას თავიანთი უკანონობით და კორუფციით ხელს უწყობენ აგრეთვე შუახევის რაიკომის პირველი მდივანი ჭაღალაძე, ნიგაზეულის სოფ. საბჭოს თავმჯდომარე ე. ბერიძე, ხულოს რაიონის სოფ. ოქტომბრის აღმასკომის თავმჯდომარე გ. შანიძე, იმავე რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ო. პაპიძე და სხვანი (აღსანიშნავია რომ მექრთამე და სახელგატეხილ მოხელეთა დანიშვნა მსგავს თანამდებობებზე, ესეც მეფის რუსეთის „ტრადიციაა". პეტერბურგი საქართველოში განგებ აგზავნიდა ისეთ ჩინოვნიკებს, რომელთაც ჰქონდათ რეპუტაცია მექრთამეებისა, დამტაცებლებისა, ინტრიგანებისა და სხვა, რათა მათ უკიდურესად შეევიწროვებინათ ქართველი ხალხი თავიანთი უსამართლობით და იძულებული გაეხადათ იგი აყრილიყო მამაპაპეული მიწიდან. იხ. პ. გუგუშვილი, ცარიზმის ანექსიონისტურ-კოლონიალისტური აგრარული პოლიტიკა საქართველოში, თსუ გამ-ბა, 1938 წ.). თუმც დღეს ეს პოლიტიკა დაიხვეწა და რუსი მოხელეების ნაცვლად ქართველი მოხელეები ინიშნებიან, რომელნიც კიდევ უფრო ინტენსიურად ძარცვავენ და ავიწროვებენ თავიანთ თვისტომთ.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც მოხდა ამას წინათ ადიგენის რაიონში: ერთერთი მოქალაქე მივიდა რაიკომის I მდივანთან, მილიციის და სუკის ხელმძღვანელებთან და უთხრა: რახან მიწას არ მაძლევთ, მივდივარ თურქეთშიო, რაზედაც მიიღო ნებართვა. იგი მართლაც გადავიდა თურქეთში და შემდეგ ცოლშვილიც გამოითხოვა. ასე რომ როგორც ვხედავთ აჭარა-მესხეთში უკვე შეინიშნება თანამედროვე ეპოქის მაჰაჯირობის ჩანასახი, რომელიც მომავალში უთუოდ კატასტროფულ მასშტაბებს მიიღებს, თუ ჩვენი საზოგადოება აქტიურად არ ჩაებმება ლტოლვილთა პრობლემების მოგვარებაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პაპუნიძე დღემდის არც დაინტერესებულა ლტოლვილთა ბედით, მათ მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზებით. რას მოითხოვენ ლტოლვილნი? აჭარის სხვა რაიონებში, კერძოდ ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონებში ჩასახლებას, ხელვაჩაურის რაიონში უხვად არის მიწები, დიდი ფართობები უკავია ტყეებს, საუკეთესო მიწები კი ციტრუსსა და ჩაის. მაგ. კარგი მიწებია ხელვაჩაურის ენრგეს მეურნეობაში, ახალსოფლის, ახალშენის, ჩაის უბნის, ჩაქვის დასახლებებში, მახინჯაურში და სხვაგან (ზოგან სიმინდია დათესილი, ზოგან კი სავსებით უხმარია). მაგრამ როგორც ჩანს ამ თავისუფალ მიწებს სხვა ერის წარმომადგენლებს უნახავენ, რათა შემდეგ იამაყონ „ინტერნაციონალური რესპუბლიკით", როგორც ამას წინათ სოფ. ახალშენზე წერდნენ გაზეთში: ჩამობრძანდითო ახალშენში და იხილეთ ვით ცხოვრობენ და შრომობენო ერთად სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები (იმავე ახალშენიდან რუსეთში გადასახლდა უამრავი ლტოლვილი).

გაზეთი „კომუნისტი" და ტელევიზია ხშირად გვაყრიან თვალებში მტვერს „ახლადაღორძინებული ქართული სოფლებით საქართველოს მთიანეთში", სადაც ორ-ორი, სამ-სამი კომლი ემატება მოსახლეობას და ხანაც ნიანგის ცრემლებს ღვრიან, რად არ მრავლდებაო საქართველოში ქართველობა, რა არის ამის მიზეზი, იმის შესახებ კი არას გვეუბნებიან, რომ აჭარის მთიანი სოფლიდან უკვე 300 კომლი გადასახლდა რუსეთში და უახლოეს წლებში, თუ ასე გაგრძელდა, ნახევარზე მეტი მოსახლეობა რუსეთს გადასახლდება, ხოლო აჭარა შეივსება არაქართველი მოსახლეობით.

აჭარის მაგალითი უთუოდ გადამდებლად იმოქმედებს საქართველოს სხვა კუთხეებზეც, ვინაიდან საქართველოში დღითიდღე უარესდება ეკონომიური პირობები, გლეხს არ გააჩნია საძოვრები, პირუტყვის საკვები, სახნავ-სათესი, არ ვითარდება მეცხოველეობა, ვინაიდან საქართველო ქცეულია ჩაისა და ციტრუსის კოლონიად. დღითი დღე ძნელდება მშენებლობა, რთულდება საბინაო საკითხი, ძვირდება ცხოვრება, ხოლო ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მიგრაციის ზემოთხსენებულ ტენდენციას. საერთოდ, „ინტერნაციონალური" რესპუბლიკა, ანუ საქართველოს სსრ, დედად ევლინება ყოველი ჯურის არაქართულ მოსახლეობას, უქმნის მათ ყოველგვარ პირობებს, აძლევს პრივილეგიებს, ხოლო საკუთარი, ქართული მოსახლეობისათვის იგი - დედინაცვალია.

დროა ამ პრობლემებს თვალი გაუმართოს ჩვენმა საზოგადოებამ და მთელის სერიოზულობით გააცნობიეროს ის გარემოება, რომ ჩვენი ერის ბედი რიბაკოვსკისეულ „მიგრაციის საქანელაზეა" შეგდებული.

ზვიად გამსახურდია

1982 წ. დეკემბერი

უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, რომელიც გააჩნია წმ. ილია მართლის საზოგადოების ხულოს ფილიალს, კრასნოდარის მხარეში ცხოვრობს 400-მდე აჭარული ოჯახი, ხოლო მათ რეპატრიაციაზე არავინ ფიქრობს.

1989 წ:

---

თავდაპირველად მინდოდა, მომეწერა მხოლოდ სამხედრო ჰოსპიტალის შესახებ, რომელიც განლაგებულია უძველესი ისტორიული ძეგლის ახალციხის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე. მაგრამ, როგორც კი დავუფიქრდი უფრო ღრმად, თუ რატომ ვერა და ვერ მოხერხდა ამ ჰოსპიტალის გამოყვანა ციხე-სიმაგრის ტერიტორიიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი დასმულია უკვე 1969 წლიდან, მივედი იმ დასკვნამდე, რაც ამ წერილის სათაურში გამოვიტანე. როგორც ჩანს, ჩვენთან სამხედრო უწყება ხელშეუხები და შეუვალია.

ყველა მოსაზრებას დამტკიცება სჭირდება და ამიტომ შევეცდები, შეძლებისდაგვარად დავამტკიცო ჩემი თვალსაზრისი.

დავიწყებ ისევ სამხედრო ჰოსპიტალის საკითხით.

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ უკვე საკმაოდ კარგა ხანია, რაც სახელმწიფო სიტყვით იცავს ისტორიულ ძეგლებს, მათ შორის ახალციხის ციხე-სიმაგრესაც, მაგრამ საქმით... მობრძანდით ახალციხეში და ეწვიეთ ი. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმს, გაისეირნეთ ციხე-სიმაგრის გალავნის შიგნით. თქვენ ნახავთ „უნიკალურ კოლექციას", უმთავრესად რუსულ ენაზე შესრულებული ავტოგრაფებისა, მათი შინაარსი, პერიოდიკა და გეოგრაფია ნათლად მეტყველებს იმაზედ, რომ ჩვენი არმია ნამდვილად „ინტერნაციონალიზმის სკოლაა", თუ არ ჩავთვლით „ოდნავ" რუსულ გავლენას, რომელიც დაჰკრავს მის „ინტერნაციონალურ" სახეს.

ასე, რომ ახალციხეში გვაქვს უნიკალური შემთხვევა, როდესაც სამხედრო უწყება ისტორიულ მუზეუმთან აქტიურად „თანამშრომლობს" და ტერიტორიის „მოპირკეთებაშიც" ეხმარება. ალბათ ამიტომ სახელმწიფო იცავს მასაც, როგორც ახალი ისტორიის აქტიურ შემოქმედს. მას ამაში ეხმარება რადიოსალოკატორო მოწყობილობებისა და ანძების (ტექნიკის) მთელი წყება, რომელიც იქვე გვერდითაა განლაგებული. ახალი ისტორიის ამ „უნიკალური ძეგლის" დასაცავად 1989 წელს შემოღობული იქნა რკინის ღობე, რომელიც ჩვენი ახალი ისტორიის სიმბოლოდაც გვევლინება. კარგი იქნება, თუ „გარდაქმნილი სახელმწიფო" ამ საკითხსაც „გარდაქმნილი თვალით" შეხედავს და დაიცავს იმას, რაც მართლა დასაცავია, ე. ი. ახალციხის უძველეს ციხე-სიმაგრეს და არა სამხედრო ჰოსპიტალს და მის გვერდით მდებარე გაურკვეველ სამხედრო ობიექტს. სხვათაშორის ბორჯომის №660

## საგანგებო წესები „სასაზღვრო ზონაში"
## /სასაზღვრო ზონა (ახ.) - მესხეთი (ძვ.)/

ტერიტორიულ ოლქში სსრკ სახალხო დეპუტატად ი. როდიონოვის კანდიდატურის შემოთავაზებისას ხელისუფლების წარმომადგენლები უმთავრეს არგუმენტად იმას იშველიებენ, რომ შემდგომში ი. როდიონოვი, როგორც სახალხო დეპუტატი შეეცდებოდა ჰოსპიტალი ციხე-სიმაგრის ტერიტორიიდან გამოეყვანა. ასეა თუ ისე, დღეს ხალხი ითხოვს დროულ და კონკრეტულ პასუხს, კითხვაზე, როდის გათავისუფლდება ახალციხის ციხე-სიმაგრე სამხედროებისაგან?

არავისთვის აღარ არის საიდუმლო, რომ მესხეთი - საქართველოს მეწინავე სადროშო, ოდესღაც ქართული სულის ბურჯი, „დიადი სამშობლოს" „სასაზღვრო ზონადაა" გადაქცეული, და მის ასიმილირებულ და აჭრელებულ მოსახლეობას არსებობის ძირითად მიზნად „დიადი სამშობლოს" დარაჯის როლს უსახავენ.

„სასაზღვრო ზონაში" ყველაფერს ამ მიზანს უქვემდებარებენ. მთავარია, რომ საზღვარი იყოს გულდაგულ დაცული და არა უშავს თუ-რაბათის, ხელოვნურად, რის ვაი-ვაგლახით გაშენებულ ტყეს ტანკები გადათელავენ, თუ-მდინარე ლაშიხევას სამხედრო და სამოქალაქო ტექნიკის სამრეცხაოდ და საბინძურის ბუდედ გადააქცევენ, თუ-სამანქანო გზებზე, ისედაც უხარისხოდ დაგებულ ასფალტზე, წარამარა ტანკებს და ჯავშნოსნებს არბენინებენ, თუ-მშრომელი კაცის მიერ ნალოლიავებ სავარგულებს გადათელავენ, თუ-ღამ-ღამობით ზარბაზნების ბათქა-ბუთქს ატეხავენ მერე რა, რომ ბავშვებს სახლებში ტყვია-წამლის არსენალები აქვთ, მერე რა, რომ 1989 წლის 21 მარტს სამხედრო პირმა ნახევარ ლიტრა არაყში მიჰყიდა ბავშვებს საზენიტო ტყვიამფრქვევის ვაზნები და რის შემდეგ ის ბავშვები აფეთქდნენ, მათ შორის ერთი გარდაიცვალა, მეორე კი დასახიჩრდა (ამის შესახებ ვაცნობეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას და მოვითხოვეთ სამთავრობო კომისიის მიერ ამ ფაქტის შესწავლა და განზოგადება, პასუხი არ არის), მერე რა რომ ის სამხედრო პირი გაასამართლეს და როგორც გვაცნობებენ, სასამართლოზე არ მიიწვიეს მოწმეები და გარდაცვლილი ბავშვის მშობლები, თურმე ის სამხედრო პირი არ ყოფილა დამნაშავე ბავშვის სიკვდილში, თურმე იმის დანაშაული მხოლოდ ფეთქებადი ნივთიერების უცხო პირებზე გადაცემაა. რა მოხდა მერე, რომ ასეთი შემთხვევები არაერთხელ ყოფილა სხვა დროსაც.

მთავარი ისაა, რომ ემსახურო „დიად სამშობლოს", ამ შემთხვევაში როდიონოვს და მის პირსისხლიან მფარველებს. ი. როდიონოვის რკინისებული ლოგიკით: „თუ არ გინდათ, რომ ბავშვები დაგიზიანდნენ, გაუფრთხილდით მათ და ნუ მიუშვებთ იარაღთან".

„ინტერნაციონალიზმის სკოლის" მესვეურებს ქალაქში დათმობილი აქვთ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი შენობა, სადაც აწყობენ „ინტერნაციონალიზმის" გრძნობით გაჟღენთილ საღამოებს. რად უნდა ქალაქს კულტურის სახლი, მთავარია იყოს ოფიცერთა სახლი.

„ინტერნაციონალისტებს" უნდა ესაუბრო „ინტერნაციონალურ" ენაზე, სხვას ვერ გებულობენ, მათთან მიმოწერაც „ინტერნაციონალურ" ენაზე უნდა აწარმოო, მათ მაღაზიებსა და დაწესებულებებსაც მხოლოდ და მხოლოდ „ინტერნაციონალური" ასოები ამშვენებს, აბა რა საკადრისია „ნაციონალური" ასოები, ისინი რომ მხოლოდ ანტიინტერნაციონალურ ლოზუნგებში იხმარება.

სამხედრო-„პატრიოტული" აღზრდაც „ინტერნაციონალურ" ენაზე უნდა ვაწარმოოთ, აბა ვის გაუგია ინტერნაციონალური არმიისათვის ნაციონალური მომზადება?!

ამ წერილში წამოჭრილი პრობლემები მთელს საქართველოს აწუხებს მეტ-ნაკლებად, ისიც ხომ „ინტერნაციონალიზმის პოლიგონია", მაგრამ „ინტერნაციონალიზმის სკოლის" კონცენტრაცია „სასაზღვრო ზონაში" ანუ მესხეთში, რამოდენიმეჯერ აღემატება საერთო რესპუბლიკურ კონცენტრაციას და გულგრილობისა და განუკითხაობის საგანგებო წესებს წარმოქმნის.

მაგრამ მესხებს ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი იმედი გვაქვს - წმინდა მონასტრების და ეკლესიების, წმინდა ადგილების კონცენტრაციაც ძალზედ დიდია ჩვენთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არის ჩვენთან.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ახალციხის სარაიონო ორგანიზაციის თავმჯდომარე სტეფანე კალაიჯიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7

მართლმადიდებლობის ზეიმი

"იცი წმიდა წერილები, რომელთაც ძალუძთ შენი დაბრძენება გადასარჩენად ქრისტე იესოს რწმენით.
მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლო სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში".
/2, ტიმოთეს მიმართ, 3, 15-16/

ღვთის დიდებული მოციქული პავლე გვირჩევს: მწვალებელს, პირველი და მეორე შეგონების შემდეგ გაერიდე, იცოდე, რომ ასეთი კაცი გაირყვნა და სცოდავს, თავისით მსჯავრდადებულია /ტიტეს მიმართ 3, 10-11/. ეს წერილი ჩვენი პირველი შეგონებაა, რომელსაც სარჩულად სიყვარული და თქვენდამი კეთილმოსურნეობა უდევს და იგივე პავლეს სიტყვებით ღაღადებს: "შეგაგონებთ, ძმანო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ყველანი ამბობდეთ ერსა და იმავეს და არ იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებულნი იყოთ გონებით და აზრით" /1 კორინთელთა 1, 10/. მაგრამ რის საფუძველზე ვიქნებით ჩვენ - მართლმადიდებლები და ბაპტისტები - "გაერთიანებული გონებით და აზრით?" - დაგვებადება კითხვა და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს საფუძველი "წმიდა წერილია", - როგორც მოციქული პავლე გვასწავლის /2 ტიმოთეს მიმართ, 3, 15-16/. აქვე დავსძენთ, რომ მართლმადიდებლები ქრისტიანული ცხოვრების საფუძვლებად მივიჩნევთ არა მარტო "ბიბლიას", არამედ წმინდა სიტყვიერ გადმოცემას, ხოლო გადმოცემებით სარგებლობა და მისი წმიდა წერილთან გათანაბრება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ თვალწინ გვექნება წმ.მოციქულთა უშუალო, ჭეშმარიტი გადმოცემა, ეკლესია მართლმადიდებლურ გადმოცემებს არ ანიჭებს დამოუკიდებლობას, არამედ თვლის მას დამხმარე წყაროდ ქრისტიანულ მოძღვრებაში. რაკი თქვენ ყოველგვარ გადმოცემას უარყოფთ, ვისაუბროთ მხოლოდ "წმ.წერილზე" დაყრდნობით. მაგრამ მანამდის იგივე "წმ.წერილში" ვნახოთ არის თუ არა რაიმე თქმული გადმოცემათა შესახებ. ღვთის დაუღალავ მქადაგებელს პავლეს მოვუსმინოთ: "მაშ ასე, ძმებო, იდექით და გეპყრათ გადმოცემები, რომლებიც გისწავლიათ ჩვენი სიტყვით თუ წერილით /2 თესალონიკელთა 2, 15/, "ჩვენ კი გამცნებთ ძმებო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, ჩამოშორდით ყოველ ძმას, რომელიც უწესოდ იქცევა და არა გადმოცემისამებრ, ჩვენგან რომ მიიღეს" /2 თესალონიკელთა 3,6/. აქედან აშკარაა, რომ მოციქულთა დროს მორწმუნეებს "ეპყრათ გადმოცემები", ხოლო თუ თქვენ თავს იმართლებთ და იტყვით, რომ ეს "გადმოცემები" "წერილია" და თქვენ კი მას იღებთ, წარმართების მოციქული პავლე დაგტუქსავთ და შეგახსენებთ: "გეპყრათ გადმოცემები, რომლებიც გისწავლიათ ჩვენი /მოციქულების/ სიტყვით თუ წერილით", ანუ პავლე ანსხვავებს "გადმოცემებს" "წერილისა" /ბიბლიისა/ და სიტყვიერს, ზეპირს. და რა ვქნათ ძმანო "ჩამოვშორდეთ ყოველ ძმას, რომელიც არა გადმოცემისამებრ" იქცევა? - მხოლოდ "პირველი და მეორე შეგონების შემდეგ" /ტიტეს მიმართ 3, 10-11/! ეს კი ჩვენი სიყვარულის პირველი წერილია. მაშ ასე, რაკი საუბარს ჯერ არ ვწყვეტთ და ვაგრძელებთ, თქვენ ასე თუ ისე, დაგვეთანხმებით "გადმოცემების" თაობაზე /ქრისტეს რჩეულ ჭურჭელს, პავლეს, დაეთანხმებით სინამდვილეში, ძმანო/ და თამამად გვკითხავთ: კი მაგრამ რა შეგიძლიათ მოგვიყვანოთ "სიტყვიერი გადმოცემების" მაგალითებად, მაშინ როცა ჩვენ, ბაპტისტები "წერილის გადმოცემად" მთლიანად "წმ.წერილს" დავასახელებთ?!

ნება მოგვეცით, მართლმადიდებლებს, ჩვენც იგ წმ.წერილი გადავშალოთ, ჩვენდა ნუგეშად, სახელდობრ, ებრაელთა მიმართ 6, 1-2: "დავტოვოთ ქრისტეს სიტყვის საწყისები და ვისწრაფოთ სრულყოფისაკენ, და კვლავ ნუ ჩავუყრით საძირკველს მკვდარი საქმეებისაგან მოქცევას და ღმერთის რწმენას, ნათლობათა, ხელების დადების /ანუ ხელდასხმის/, მკვდართა აღდგომისა და მარადიული სასამართლოს მოძღვრებას". წმ.პავლეს, ვითარცა ქრისტეს მოციქულს, სურს ებრაელებიდან მოქცეულნი "სრულყოფისაკენ" წაიყვანოს, მაგრამ მათგან ისინი, ვინც "იგემეს ღმერთის კეთილი სიტყვა და მომავალი საუკუნის ძალები და დაეცნენ /ებრაელთა მიმართ 6, 5-6/". ამის საშუალებას არ აძლევენ მას და იძულებულს ხდიან მოციქულს დაუბრუნოს ისინი "სიტყვის საწყისებს... ნათლობათა, ხელდასხმის, მკვდართა აღდგომისა და მარადიულ სასამართლოს მოძღვრებას", ანუ "საძირკველს მკვდარი საქმეებისგან მოქცევისა". წმ.წერილის უამრავი ადგილიდან ვიგებთ "მოძღვრებას მკვდართა აღდგომისა და მარადიული სასამართლოს" შესახებ /იმდენად ბევრი ადგილების მოყვანა შეიძლება, რომ ზედმეტიც კი გვეჩვენება მასზე მითითება/ და რაკი ეს ასეა მასზე /აღდგომასა და საშინელ სამსჯავროზე/ სწავლა-გადმოცემა "სიტყვიერ", ანუ ზეპირ "გადმოცემად" არ ჩაითვლება, არამედ - "წერილის". "ნათლობათა" შესახებ - იოანე ნათლისმცემლის წყლითა და სინანულით ნათლობაა და ქრისტე მაცხოვრის წყლითა და ცეცხლით /ანუ სულით/ ნათლობა - ასევე გვაქვს მოცემა /გადმოცემა/ წმ.წერილში ასე მაგალითად: ნათლისმცემლის ნათლობაზე წმ. იოანეს სახარებასა და წმ. ლუკას "საქმე წმიდათა მოციქულთაში", ხოლო "წყლითა და სულით" ნათლობაზე უფალი ჩვენი ნიკოდიმოსს ამცნობს საუბარში, ანდა წმ. მათე მახარებელი იესოს დარიგებას მოციქულთა მიმართ ელეონის მთაზე, ამაღლების წინ, ასე გადმოგვცემს: "წადით და გახადეთ მოწაფეებად ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. და ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. /მათე 28, 9-20/". ისე რომ ქრისტეს ნათლობის შესახებ წმინდა წერილი გვასწავლის: ეს ნათლობა ხდება წყლითა და სულით /ცეცხლით/ და ინათლება ადამიანი წმიდა სამების სახელზე. მაშასადამე, "ნათლობათა" შესახებ "მოძღვრება" ასევე "წმიდა წერილშია" და ამიტომ "წერილის" გადმოცემებს" და არა "სიტყვიერს" მიეკუთვნება. თქვენც - ბაპტისტები და ჩვენც - მართლმადიდებლები ერთი და იგივე სამების სახელზე ვნათლავთ და წყალში, მაგრამ თქვენ იწუნებთ ჩვენს ნათლობას და კერძოდ ბრალად გვდებთ, რომ ჩვენ ადამიანურად კიდევ სხვა მოქმედებები და ლოცვები შევიტანეთ ნათლობაში. მაგალითად, შეფუცვების ლოცვები /ანუ ეშმაკის გამოყვანების ლოცვები მოსანათლავიდან, მასზედ ღვთის სახელის მოწოდებით/, ზეთისცხება, მირონცხება და ა.შ. მართლმადიდებლებს გვაძლევს რაიმე ამის უფლებას? ჭეშმარიტად - წმიდა გადმოცემა და ბიბლია, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდის კი მინდა გკითხოთ: რა იცით თქვენ "ხელების დადების /ხელდასხმის/" შესახებ, რომელსაც პავლე ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ახსენებს?! არაფერი გარდა იმისა, რომ მოციქულები მიმართავდნენ ამა თუ იმ გამორჩეული ადამიანების ხელდასხმას /ეპისკოპოსად, ხუცესად, დიაკვნად/. იხილეთ გარდა ამ ეპისტოლესი პავლესავე ეპისტოლე ტიმოთესადმი 1 და 2, ტიტესადმი, ან "საქმე წმიდათა მოციქულთა". ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გკითხოთ: ხელს დაასხამთ რა ხუცესებად, რა უფლებით უარყოფთ ეპისკოპოსობას ან დიაკვნობას, ანდა განა ვერ ხედავთ სიხარბეს ხსენებული ადგილებიდან, რომ ხუცესებს არა აქვთ სხვა ადამიანის ხუცესად ხელდასხმის უფლება და მადლი, რადგან პავლე თავის მოწაფეებს, ტიმოთესა და ტიტეს, რომ ურჩევს როგორი კაცი შეარჩიონ ეპისკოპოსად, ხუცესად და დიაკვნად ხელდასასხმელად, თვითონ ეს მოწაფეები ეპისკოპოსები იყვნენ და არა მღვდლები?! მაშ ასე: ხელს რომ დაასხამთ, ხუცესებს ამის უფლება რომც გქონდეთ, რა სიტყვებს წარმოთქვამთ, - წერილში ხომ არც ერთ ადგილას არაა ნათქვამი ამის შესახებ. თუ არავითარ ლოცვას არ წამოთქვამთ ეს უფლის მოძღვრებასა და ბიბლიის სულს ეწინააღმდეგება, რადგან პავლესავით რომ ვთქვათ "ყოველივე ლოცვითა და სულით განიწმინდება", ანუ ლოცვა, ღვთის სახელის მოწოდება, ყველა შემთხვევაში და მით უფრო, ახლა, ერის კაცის ხუცესად ხელდასხმისას, აუცილებელიცაა. წარმოთქვამთ რაიმე ლოცვას? - ხელდასხმის ლოცვა არსად წერია სახარებაში და ამიტომ ვერაფერს ილოცებთ - თქვენ ხომ არაფერს არ იღებთ რაც არ წერია წმიდა წერილში. საცოდავ მდგომარეობაში ჩაიყენეთ თავი: ვერც წინ მიდიხართ და ვერც უკან ბრუნდებით.

ძველ სიტყვას მივუბრუნდეთ. ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ-მეთქი რა გვაძლევს მართლმადიდებლებს საფუძველს ნათლობისას სხვადასხვა ლოცვებს წარმოვსთქვამდეთ, საჭიროებისამებრ. ეფესელთა მიმართ პავლე იტყვის: "აღივსეთ სულით. ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით და გალობით და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს თქვენს გულებში /ეფესელთა მიმართ 5, 18-19/"; "ფსალმუნნი" წმიდა წერილის კანონიკური შემადგენელი ნაწილია და ამიტომ, ბაპტისტები დაუფიქრებლად "ეფსალმუნით უფალს თქვენს გულებში", მაგრამ რას ფიქრობთ მოციქულის სხვა დარიგებაზე, შესძლებთ "ელაპარაკოთ ერთმანეთს, გალობით და სულიერი საგალობლებით... უმღეროთ... უფალს თქვენს გულებში?" რადგან ბიბლიის რომელ "გალობასა და სულიერ საგალობლებს" გულისხმობს წმიდა პავლე? თქვენ არ შეგიძლიათ ყურად არ იღოთ კანონიკური მოციქულის, პავლეს, რჩევა, რადგან "რაც გვინახავს და მოგვისმენია, გაუწყებთ, რათა თქვენც გქონდეთ მოზიარეობა ჩვენთან, ხოლო ჩვენი მოზიარეობა არის მამასთან და მის ძესთან იესო ქრისტესთან /1 იოანე 1,3/", ანუ ვინც არ მოუსმენს მოციქულებს და ვისაც არ ექნება "მოზიარეობა" მოციქულებთან არ ექნება "მოზიარეობა" ღმერთთან, ანუ წარიწყმედს სულს. ყურადღებით მოისმინეთ მაშ: პავლე მოციქული ვიდრე გვირჩევდეს "ველაპარაკოთ ერთმანეთს... გალობით და სულიერი საგალობლებით, უმღეროთ... უფალს /ჩვენს/ გულებში", ამბობს: "აღივსეთ სულით". სწორედ სული აგალაპარაკებთ ერთმანეთთან და გულში ღმერთთან "გალობით და სულიერი საგალობლებით", ისევე როგორც დამუნჯებული ზაქარია აღავსო ღმერთმა სულითა თვისითა და აკურთხევინა და ადიდებინა მხსნელი ისრაელისა და ყრმა, რომელიც გზას განუმზადებდა უფალს; იგივე სულმა დაალოცინა ზაქარიას ცოლს, ელისაბედს, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი და ნაყოფი მუცლისა მისისა და სუმავე იქვსი თვის ყრმა იოანეს, ჯერ კიდევ დედის მუცლიდან, - იგივე ღვთისმშობელი; იმავე წუთს იგივე სულმა "გალობით და სულიერი საგალობლებით" ათქმევინა ყოვლადწმიდას "ადიდებს სული ჩემი უფალსა და იხარა სულმა ჩემმა ღმერთზე.../წმიდა ლუკა 1, 46-55/". და თუ თქვენ აღივსებით სული წმიდით "გალობასა და სულიერ საგალობლებში" ვერაფერს არა თუ არაფერს, იტყვით ისეთს, რაც წმიდა წერილს ეწინააღმდეგება. რადგან წმიდა წერილი იგივე სულით იწერებოდა, რომელიც საწმუნოებით თქვენც აგალაპარაკებთ, - მეუფება მეუფებაზე არ აღსდგება, როგორც უფალი გვასწავლის, რათა არ დაეცეს /მოისპოს/ იგი. მაგრამ სული რომელზეც პავლე გველაპარაკება არის "წინასწარმეტყველებისა, სიბრძნისა და მეცნიერებისა", ამიტომ ბუნებრივია ეს ნიჭი ყველას არ მიეცემა, რადგან ასონი ვართ სხვადასხვა, ქრისტეს წმიდა სხეულისა /ეკლესიისა/ და ამდენად თითოეულს სხვადასხვა ნიჭები გვეძლევა ერთი და იგივე სულისა. ზოგს ასეთი, როგორც პავლე ამბობს, - და სხვას სხვაგვარი. ნუ თუ ყველა თვალი იქნება? ამიტომაც ნათლობის "გალობა და სულიერი საგალობლები" სული წმიდის მადლით შეთხზა ჩვენს წმიდა ეკლესიაში არა ნებისმიერმა მორწმუნემ, თუნდაც წმინდანმა, არამედ მათ შორის მხოლოდ მან, ვისაც ჰქონდა შესაბამისი ნიჭი /სიბრძნისა და მეცნიერების/ და ვინც ღრმად იცნობდა წმიდა წერილს. ვთქვათ ასეთები იყვნენ: იოანე ოქროპირი, იოანე დამასკელი, იოსებ ტკბილადმგალობელი, იოანე კუკუზელი, კოზმა მაიუმელი და სხვანი. და ქრისტეს მიერ კეთილნო, თუ მოციქული პავლე გვასწავლის ერთმანეთთან ყოველი შეხვედრისას მორწმუნენი "ველაპარაკოთ ერთმანეთს ფსალმუნით და გალობით და სულიერი საგალობლებით, ვუმღეროთ და ვეფსალმუნოთ უფალს ჩვენს გულებში", განა იგივე უფრო მეტად არ გვმართებს ეკლესიის შვილებს, როცა "მკვდარი და დაკარგული" ბრუნდება ღმერთთან, ნათლისღებით /წყლითა და სულით/ კვდება ძველი, გარეგანი ადამიანი და იშობა ახალი, ქრისტეს სიკვდილითა და აღდგომით განახლებული ქმნილება. მოციქულთა დროს, როცა ეკლესიის ახალ წევრს იღებდნენ ნათლობის გზით, მთელი სამწყსო იზიარებდა ამ სიხარულს და თავის ლოცვასა და გალობას ურთავდა ხუცესისა თუ ეპისკოპოსის /ვინც ნათლავდა/ ლოცვა-კურთხევას. მაგრამ რადგან ყველას არ შეეძლება ჰქონოდა ერთი და იგივე ნიჭი, ამიტომ საღმრთო განგებით და სიბრძნით ამა თუ იმ წმიდა ღმერთშემოსილმა მამამ გამოკრიბა ადგილები წმიდა წერილიდან /უპირატესად ფსალმუნიდან და პავლეს ეპისტოლეებიდან/, მიანიჭა მათ სახე ლოცვისა თუ საგალობელისა და ეკლესიამ ისინი მოაქცია ერთ მთლიან საიდუმლოებაში ნათლისღებისა /ნათლობისა/. - გადავშალოთ კურთხევანი მართლმადიდებლური ეკლესიისა, სადაც აღწერილია ყოველგვარი მღვდელმსახურება და საღმრთო წესი: თქვენ იქ ვერ ნახავთ ადამიანურ, მიწიერ, ფშვინიერ სიბრძნეს, არამედ მადლსა და ჭეშმარიტებას საღმრთო წერილისა. ამაზე, ვფიქრობ საკმარისია.

დამაჯერებლობისათვის, წმიდა ზეპირ გადმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემათა შესახებ, კვლავ პავლეს მოვუსმინოთ: "ამისათვის გაქებთ, თქვენ, ძმანო, რომ ყველაფერში გახსოვართ და ინახავთ იმ მოძღვრებებს, როგორც გადმოგეცით /1 კორინთელთა მიმართ 11,2/". ჩვენ ვნახეთ, რომ ერთი ასეთი ზეპირი "მოძღვრება", გადმოცემა შეეხებოდა ხელდასხმას, იყო სხვა "მოძღვრებებიც". აი მაგალითად, "ცოლი /სჯულით/ შეკრულია, სანამ ცოცხალია მისი ქმარი; ხოლო თუ ქმარი მოკვდება, თავისუფალია გაჰყვეს, ვისაც სურს, ოღონდ უფალში /უფლის მიერ/ – /1 კორინთელთა მიმართ 7, 39/". როგორ გესმით ქრისტიანი ქალის გათხოვება უფლის მიერ? განა უპირველეს ყოვლისა ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ქრისტიანების ქორწინება განსხვავებული იყო წარმართებისა და იუდეველთა ქორწინებისაგან, რადგან უფალი /იესო/ არ სწამდათ? ბუნებრივია მორწმუნეებმა "უფლის მიერ" ქორწინებაში ვიგულისხმოთ ის, რომ ეკლესია ნეფე-პატარძალზე ასრულებდა რაღაც განსაკუთრებულ ლოცვებს, რომელთაც საზეიმო და ამავე დროს სულიერი აზრის მატარებელი მოქმედებებიც ახლდა, თუმცა ეს ზედმიწევნით წმიდა წერილის არცერთ ადგილას არ არის აღწერილი. თუნდაც ის ფაქტი, რომ იესო ქრისტე მივიდა ქორწილზე კანას გალილეაში, განა უკვე არ ნიშნავს იმას, რომ ამ მისვლით აკურთხა ქორწინება, როგორც ასეთი, ცოლ-ქმრობა და მათგან შვილიერება?! თქვენ ელით დეტალურ აღწერას ყოველივე ამისა წმ.წერილში?! დამშვიდდით და მოუსმინეთ ქრისტეს საყვარელ მოწაფეს იოანე ღვთისმეტყველს: "კიდევ ბევრი სხვა არის, რაც იესომ მოიმოქმედა, რომელიც დაწვრილებით რომ დაწერილიყო, ვფიქრობ, რომ თვით ქვეყნიერებაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს, ამინ /იოანე 21, 25/".

სჯობს წმიდა სიტყვიერ "გადმოცემებზე" ლაპარაკს თავი ვანებოთ, რადგან ჩვენს საუბარში, – მართლმადიდებლებისა და ბაპტისტებისა, – ამოსავალი რამ მაინც არ იქნება, რაკი თქვენ არ იღებთ ამგვარ "გადმოცემებს"/თუმცა ამით, როგორცა სჩანს, ნაწილობრივ უკვე ამახინჯებთ წმიდა წერილს და არღვევთ მის მთლიანობას/.

მაშ ასე, როგორც შესავალში შევთანხმდით, ვისაუბროთ მხოლოდ "წმიდა წერილზე" დაყრდნობით ქრისტეს მოძღვრების ისეთ საკითხებზე, რომლებიც მწვალებლებს არა სწორად ესმით და ამით არსებითად სცვლიან უფლის წმიდა და საღმრთო მოძღვრებას. ამჯერად საუბარს წმიდა იოანეს სიტყვები წავუმძღვაროთ "გამოცხადებიდან", თუმცა პავლესაც არა ერთხელ მოვუხმობთ მოწმედ, რამეთუ როგორც მოსეს სჯული ამბობს ორი და სამი მოწმის სიტყვა დასაჯერებელია: "ვამბობ მე ყველასთვის, ვისაც ესმის ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვები: თუ ვინმე დაუმატებს ამას, ღმერთი გაუმრავლებს მას ამ წიგნში ჩაწერილ წყლულებს. და თუ ვინმე მოაკლებს ამ წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებიდან ღმერთი წაართმევს მონაწილეობას სიცოცხლის ხიდან /ძველ ქართულ თარგმანშია: "ძელისა მისგან ცხორებისა". – ეს თარგმანი უფრო ავტორიტეტულია, ვიდრე თანამედროვე/, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ამ წიგნშია ჩაწერილი /გამოცხადება იოანესი 22, 18-19/".

ის საკითხები კი, რომელზეც თქვენს სარწმუნოებასთან ვსაუბრობთ შემდეგია:

1/ მოციქული პავლე ტიმოთესადმი მეორე ეპისტოლეში მისწერს მას: "აიყვანე მარკოზი და მოიყვანე შენთან ერთად ვინაიდან მჭირდება მ ს ა ხ უ - რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ,

ტვიქიკოსი ეფესოში წარვგზავნე. ლაბადა /ფილონი – უფრო ძველ ავტორიტეტულ თარგმანებში/, რომელიც ტროადაში დავტოვე კარპოსთან, მომიტანე, როცა მოხვალ, აგრეთვე წიგნები, განსაკუთრებით პერგამენტები /ტყავის/ /2 ტიმოთეს მიმართ 4, 11-13/".

ფილონი, რომელსაც მოციქული ახსენებს, დღემდის იხმარება მართლმადიდებლურ ეკლესიაში ღვთისმსახურებისას, როგორც ზედა შესამოსელი მღვდლისათვის და ზოგიერთ შემთხვევაში ეპისკოპოსისათვის. უეჭველია, ფილონი პავლეს მსახურებისათვის, ანუ ღვთისმსახურებისათვის დასჭირდა და ასევე წიგნებიც /არა ერთი, არამედ რამდენიმე წიგნი/, სადაც გადმოცემული იქნებოდა წესი და ლოცვანი ღვთისმსახურებისა და ასეთი წიგნებიც დღემდის იხმარება ეკლესიაში, ხოლო არაფერი მსგავსი არაა ბაპტისტების საკრებულოში. რაკი ღვთისმსახურება ვახსენეთ, დავსძენთ, რომ მასზედ ვხმარობთ საცეცხლურსაც, რითაც ვაკმევთ საკმეველს და ამის საფუძველი გვაქვს როგორც ძველ აღთქმაში /მოსეს ხუთი წიგნი/, ასევე ახალი აღთქმის წიგნებშიც /წმიდა ლუკას სახარება და იოანეს გამოცხადება/, სახელდობრ, ლუკა მახარებელთან ვკითხულობთ: "...ერთხელ, როცა /ნათლისმცემლის მამა ზაქარია/ თავისი წყების წესისამებრ მღვდლობდა ღმერთის წინაშე, მღვდელთა სამსახურის ჩვეულების მიხედვით მას წილად ხვდა კმევა და შევიდა უფლის ტაძარში, და უამრავი ხალხი ლოცულობდა გარეთ, კმევის დროს და მას ეჩვენა უფლის ანგელოზი და დადგა საკმეველთა სამსხვერპლოს მარჯვნივ /ლუკა 1,8-11/". გამოცხადების წიგნში კი შემდეგს ვკითხულობთ: "მოვიდა ანგელოზი და დადგა სამსხვერპლოსთან და ოქროს საცეცხლური ჰქონდა, და მიცემული ჰქონდა ბევრი საკმეველი, რათა ყველა წმინდანის ლოცვები ერთად მიეტანა ოქროს სამსხვერპლოზე, ტახტის წინ. და ავიდა საკმევლის კვამლი წმინდანთა ლოცვებთან ერთად ანგელოზის ხელისაგან ღმერთის წინაშე /გამოცხადება იოანესი 8, 3-4/".

2/ უფლის პატიოსანი და ყოვლადწმიდა სისხლისა და ხორცის ზიარებაზე ნეტარი პავლე გვასწავლის: "ვინაიდან მე მივიღე უფლისაგან, რაც თქვენც გადმოგეცით, რომ უფალმა იესომ იმ ღამეს, რომელსაც გაიცემოდა აიღო პური /მათე 26,26; მარკოზი 14,22; ლუკა 22,19; 1 კორინთელითა 10, 16/ და მადლობდა, გატეხა და თქვა: /მიიღეთ,ჭამეთ/ ეს არის ჩემი სხეული, თქვენთვის განტეხილი; ამას აკეთებდეთ ჩემს მოსაგონრად, რამდენჯერაც სვამდეთ. რამეთუ ყოველთვის, როცა ამ პურს ჭამთ და ამ სასმისს სვამთ, აუწყეთ უფლის სიკვდილი, ვიდრე მოვიდოდეს. ამიტომ, ვინც ჭამს ამ პურს ან დალევს უფლის სასმისს ულირსად, დამნაშავე იქნება უფლის სხეულისა და სისხლის წინაშე. ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ასე ჭამოს ამ პურიდაც და დალიოს ამ სასმისიდან. ვინაიდან, ვინც ულირსად ჭამს და სვამს, თავისი თავის დაგმობას ჭამს და სვამს, ვერ არჩევს რა /უფლის/ სხეულს /1 კორინთელთა 11,23-29/", "კურთხევის სასმისი, რომელსაც ჩვენ ვაკურთხებთ, განა ქრისტის სხეულის ზიარება არ არის?" /1 კორინთელთა 10, 16/.

ზემოთმოტანილი ციტატებიდან აშკარაა, რომ კურთხევის დროს პური საიდუმლოდ გარდაისახება უფლის ხორცად, ხოლო ღვინო მის სისხლად, როგორც ეს მოხდა საიდუმლო სერობაზე, დიდ ხუთშაბათს,და სწორედ ამითვე მოვიგონებთ უფალსა ჩვენსა. როგორც მოციქულთა დროს, დღესაც ქრისტეს ეკლესიაში ერთბაშად როდი დაუშვება უფლის წმინდა ზიარებაზე მორწმუნეებს. არამედ პავლეს რჩევისამებრ "ჯერ თავი /უნდა/ გამოსცადოს", ანუ ზიარების წინ რაც შეიძლება წმინდათ უნდა იცხოვროს, მოინანიოს ცოდვები, ჩადენილი შეცდომები აღარ გაიმეოროს, მარხვით და ლოცვით ითხოვოს ღვთისაგან ღირსი გახდეს წმიდა ზიარებისა და მხოლოდ მას შემდეგ, როცა საკუთარი სინდისი და მისი აღსარების მიმღები ხუცესი დაუშვებს – ეზიაროს.

3/ სნეულებზე /ავადმყოფებზე/ ზეთისცხების შესახებ, რასაც უარყოფენ ბაპტისტები, წმიდა მარკოზ მახარებელი მოგვითხრობს: "ისინი /ქრისტეს მოციქულები/ გამოვიდნენ და ქადაგებდნენ მონანიებას. სდევნიდნენ მრავალ ეშმაკს და სნეულს სცხებდნენ ზეთს და კურნავდნენ /მარკოზი 6, 12-13/, ხოლო იაკობ მოციქული უფრო დაწვრილებით მსჯელობს იგივეზე: "არის თქვენ შორის ვინმე ავად? მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი და, ილოცონ მას ზედა და ზელსაცხებელი სცხონ უფლის სახელით. და რწმენის ლოცვა გადაარჩენს ავადმყოფებს. უფალი წამოაყენებს მას, და თუ ცოდვები უქმნია, მიეტევება /იაკობის ეპისტოლე 5, 14-15/". მოციქულთა დროიდან დღემდის უფლის წმიდა ეკლესია ავადმყოფებსა და მონანულებზე თავისი ხუცესების გზით ალასრულებს ზეთისცხებას, რასაც სრულიად უსაფუძვლოდ უარყოფენ ბაპტისტები და ზოგი სხვა მწვალებლები.

4/ წმიდა ხატების შესახებ:ბაპტისტები წმიდა ხატებს, რომელზედაც გამოხატულია ქრისტე ღმერთი ან მისი წმინდანები უსულო კერპებად მიიჩნევენ და ხატთა თაყვანისცემას – კერპმსახურებად. ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: "...მეორე ფარდის უკან იყო კარავი, რომელსაც წმიდათა წმიდაი ეწოდებოდა. რომელსაც ჰქონდა ოქროს საკმეველი და ყოველი მხრიდან მოოქროვილი აღთქმის კიდობანი, სადაც იყო ოქროს ტაკუკი მანანით, აჰრონის აყვავებული კვერთხი და აღთქმის დაფები /შეადარეთ: გამოსვლათა 16,33; რიცხვთა 17,10; 3 მეფეთაზე 8,9; 2 ნეშტთა 5,10 /. ხოლო მათ ზემოთ დიდების ქერობინი /ებრაელთა მიმართ 9, 3-5/". მაშ ასე, ღმერთმა რომელმაც თავისი რჩეული მოსე წინასწარმეტყველის გზით ისრაელს აუკრძალა არ შეექმნა თავისთვის არანაირი კერპი /ესაა უფლის ათიდან მეორე მცნება/, იგივე მოსეს ურჩია განა აღთქმის კიდობანზე რომ კერპი აღემართა ანგელოზთა, ქერობინთა გამოსახულების სახით?! ხომ არ ჰგავიწყდებათ რომ სწორედ ქერობინთა ამ ხატებს შორის დგებოდა ღრუბელი, საიდანაც ელაპარაკებოდა მოსეს ღმერთი?!

მარტივ, ადამიანურ მაგალითსაც მოვიტანთ: თუ თქვენი ვთქვათ შვილის, ან მშობლის, ანდა რომელიმე ახლობლის ფოტოსურათს ვინმე ფეხით შესდგება, ან სხვანაირად როგორმე შეურაცხყოფს თქვენ ეს გესიამოვნებათ, არ აღშფოთდებით?! და თუ ეს ასეა ღმერთი დაგლოცავთ როცა მის წმინდა გამოსახულებას ან მისი წმინდანებისა, შეურაცხყოფთ: სწვავთ, მდინარეებში ჰყრით, ხევთ, ანერწყვებთ და დასცინით?! გონს მოდით, თუ მართლა ქრისტეს მოწაფეები ხართ. ნუთუ მართლა ვერ პოულობს განსხვავებას ღვთისა და კერპების, ანუ ეშმაკის გამოსახულებებს შორის?

5/ რატომ ვლოცულობთ წმინდანთა და მოწამეთა ნაწილებთან: საქმე წმიდათა მოციქულთაში მოთხრობილია: "...ღმერთი ბევრ სასწაულს ახდენდა პავლეს ხელით, ისე რომ ავადმყოფებს აღებდნენ საბურავებსა და სარტყელებს მისი /პავლეს/სხეულიდან და მათ უწყდებოდათ ავადმყოფობა, და ავი სულები გამოდიოდნენ მათგან /საქმე წმიდათა მოციქულთა 19, 11_12/". თუ წმინდანის ტანსაცმელს აქვს მადლი ადამიანის განკურნებისა და ავი სულებისაგან განწმენდისა, მით უფრო მის სხეულს, რამდენადაც სხეული უფრო მეტია, ვიდრე სამოსელი. მაგრამ კურნებანი ხდება იმ შემთხვევაში თუ მვედრებელი ღრმადმორწმუნეა. ასე უფლის სამოსელსაც ბევრი ეხებოდა, მაგრამ იკურნებოდა მხოლოდ ის, ვისაც ჭეშმარიტად სწამდა, ვთქვათ 12 წელი სისხლმდინარე დედაკაცი.

6/ რას ვეყრდნობით, როცა მარხვებს ვინახავთ: წმიდა ლუკასთან ვკითხულობთ: "მათ /ფარისევლებმა და მწიგნობრებმა/ კი უთხრეს: იოანეს მოწაფეები ხშირად მარხულობენ და ლოცვებსა იქმნენ. ასევე იგენი, ფარისეველთაგანნი. შენები კი ჭამენ და სვამენ? იესომ უპასუხა მათ: განა შეიძლება აიძულო მექორწილენი იმარხულონ, ვიდრე ნეფე მათთან არის? მაგრამ მოვლენ დღენი, როცა მეფე წაერთმევათ და მაშინ იმარხულებენ, იმ დღეებში/წმიდა ლუკა 5,33-35/".

როგორცა სჩანს უფალმა იესომ, თვითონ იწინასწარმეტყველა, რომ მოვიდოდა დრო, როცა მისი წმიდა ვნებების მოსაგონებლად დაწესდებოდა მარხვა და ჩვენს ეკლესიაში ესაა წმიდა დიდმარხვა, რომელიც 40 დღე გრძელდება, ეს მარხვა მოძრავია და აღდგომის დღესასწაულზეა დამოკიდებული, ვითარცა უფალმა იმარხულა უდაბნოში 40 დღე, რომელსაც მოსდევს წმიდა ვნების შვიდეული, როდესაც ვიგონებთ იესოს მიერ დედამიწაზე გატარებულ უკანასკნელ დღეებს – იერუსალიმში დიდებით შესვლის შემდეგ – განსაკუთრებით: იუდას მიერ მაცხოვრის გაყიდვა 30 ვერცხლად, – ოთხშაბათ დღეს, საიდუმლო სერობა, წმიდა ზიარების დაწესება, მოწაფეების ფერხთბანვა, ლოცვა გეთსიმანიის ბაღში, იუდას ამბორი და იესოს გაცემა – დიდ ხუთშაბათს; უფლის დაკითხვა და განკიცხვა, სამსჯავრო პილატესთან გზა გოლგოთისკენ, ჯვარცმა, აღსასრული, გარდამოხსნა და საფლავად დადება – წითელ პარასკევს; კაცობრივი სულით ჯოჯოხეთში ჩასვლა და სიკვდილით სიკვდილის დამარცხება – შაბათი და დიდებით აღდგომა – კვირა ცისკარს. ასევე თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვმარხულობთ მართლმადიდებლები ოთხშაბათს, როცა იუდას მიერ მაცხოვრის გაყიდვით, საბოლოოდ გადაწყდა ქრისტეს მოკვლა და პარასკევს – როცა უფალი ჩვენი ჯვარს-ეცვა ჩვენი ხსნისათვის.

ასევე ვმარხულობთ ზამთრის მარხვას, ანუ შობის მარხვას, რომელზედაც მითითება "საქმე წმიდათა მოციქულთაში" გვაქვს: აი, მოციქული პავლე ბორკილებში მიჰყავთ იტალიისაკენ, რომში და ნაოსნობისას მიაღწიეს "ადგილს, სახელად კეთილ ტბებს, რომლის ახლოს იყო ქალაქი ლასია. როდესაც საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ნაოსნობა სახიფათო იყო, ვინაიდან მარხვამ უკვე გაიარა, პავლემ ურჩია მათ და უთხრა: კაცნო, მე ვხედავ რომ ეს ნაოსნობა იქნება საზიანო... რადგან ნავსადგური მიუხერხებელი იყო გამოსაზამთრებლად. უმრავლესობა რჩევას იძლეოდა გამგზავრებულიყვნენ იქიდან რომ როგორმე მიეღწია და გამოეზამთრებინათ ფინიკში /საქმე წმიდათა მოციქულთა 27,8-10,12/. "აქედან სჩანს, რომ უკვე მოციქულთა დროს არსებობდა

( დასასრული შემდეგ ნომერში )

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღესაც არ არის რეაბილიტირებული „გარდაქმნის" მიუხედავად

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1951 წლის 28 აპრილს ქალაქ თბილისში დახურულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ი.ლომიძე
სახალხო მსაჯულნი: ა.კაბულაშვილი, კ.დალაქიშვილი,
პროკურორ მიქაძის მონაწილეობით და მდივან თათარაშვილის თანდასწრებით განიხილეს საქმე №15 ბრალდების გამო:

გიორგი გიორგის ძე სარალიძის დაბადებული 1925 წელში სოფ.საქობოში, სიღნაღის რ-ში, საქართველოს სსრ. ქართველის, საბჭოთა კავშირის მოქალაქის, უცოლშვილოსი, სტუდენტი, უპარტიო. სამართალში ნამყოფს 1949 წელში, მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქ.სსრ სსკ 58.10 და 58-10. მუხ.I ნაწ. და 58-II. 58-14 და 71-I მუხლებით. სასამართლო კოლეგიამ განიხილა და წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების მასალები და მოისმინა და სამართალში მიცემული სარალიძის ახსნა-განმარტება გამორკვეულად სცნო შემდეგი:

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სასამართლო კოლეგიის 1949 წლს 17-20 მაისის განაჩენით ამ საქმეზე სამართალში მიცემული გ.გ.სარალიძე ცნობილი იქნა დამნაშავედ. სსკ 58-I0 და 58-II მუხლებით და მიესაჯა I0 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო უფლების აყრა 3 წლის ვადით. აღნიშნული განაჩენით მსჯავრი დაედო 25 პიროვნებასთან, ეგრეთწოდებული შრომითი სოციალდემოკრატიული პარტიის წევრებს, რომლის ხელმძღვანელიც მსჯავრდადებული მამაიაშვილთან ერთად იყო.

სარალიძე გიორგი გიორგის ძე (ის-სჯკ.-96-I00) სასჯელის მოსახდელათ სარალიძე გაგზავნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს „სტეპლაგერში", საიდანაც I.950 წლის 6 აგვისტოს გამოიქცა. იმ მიზნით, რომ დაეფარა დანაშაულის კვალი და ეცხოვრა ფარულად, შეიძინა ვინ.ს.ვ. ხარიტონოვის სახელზე გაცემული დროებითი მოწმობა (პასპორტის ნაცვლად) №6015, რომელიც აღმოაჩნდა მას დაპატიმრების დროს, ჩამოვიდა რა სარალიძე საქართველოში, ცხოვრობდა არალეგარულად და კვლავ განაგრძობდა ანტისაბჭოთა კონტრევოლუციურ მუშაობას. 1950 წლის 25 სექტემბერს სარალიძე დაუკავშირდა სხვა საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ ვარამაშვილს, რომელსაც გაანდო „ლაგერიდან" გამოქცევის ამბავი და უამბო მას თავის მდგომარეობაზე: არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს 24 სექტ. 20 ოქტომბრამდის I950 წელს, სარალიძემ ანტი-საბჭოთა კონტრევოლუციური მუშაობის აღდგენისა და განგრძობის მიზნით ეგრეთწოდებულ „სოციალ-დემოკრატიულ შრომითი პარტიის" არალეგარულ ცენტრალურ კომიტეტის სახელით დასწერა ანტი-საბჭოთა მოწოდება და ა მ ა ს თ ა ნ ა ვ ე ანტი-საბჭოთა შინაარსის ლექსები, რომელთა გავრცელების განზრახვა ქონდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს 1950 წ. I8 დეკემბერს, მაგრამ ეს მან ვერ განახორციელა, იმის გამო, რომ 1950 წ. 21 ოქტომბერს დაპატიმრებული იქნა. ზემო აღნიშნული დადასტურებულია თვით სამართალში მიცემული სარალიძის ჩვენებით, როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ასევე სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე მოწმე ვარამაშვილის ჩვენებით წინასწარი გამოძიების დროს და საქმეზე დართული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქ.სსრ სსკ 3I9-320 მუხლებით და დაადგინა: გიორგი გიორგის ძე სარალიძე ცნობილი იქნეს დამნაშავედ. დანაშაულში გათვალისწინებული საქ.სსრ სსკ 58-I0 მუხ. I ნაწ. II, 58-I4 და 7I-I მუხლებით და მიესაჯოს სსკ. 7I-I მუხლით სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, 58-I0 მუხ. I ნაწილი და 58-II მუხლებით თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების აყრა ხუთი წლის ვადით. ხოლო სსკ.58-I4 მუხლით-მიიჩნია რა განსაკუთრებულ დამამძიმებელ გარემოებათ, სარალიძის მიერ ჩადენილი დანაშაული თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით, ხმის უფლების ჩამორთმევა ხუთი წლის ვადით და პირადი ქონების კონფისკაცია, თანახმად სსრკ 46 მუხლისა, უმძიმესმა სასჯელმა დაფაროს უმცირესი და მოსახდელად დაეტოვოს თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით, საჯელის შრომა გამასწორებელ ბანაკში მოხდით. საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით ხუთი წლის ვადით, ძირითადი სასჯელის მოხდის შემდეგ და პირადი კომფისკაციის-თანახმად საქ.სსრ სსკ 4I მუხლისა, გიორგი გიორგის ძე სარალიძე 1950 წლის 17-20 მაისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელი ათი წლის თავისუფლების აღკვეთა დაფარული იქნეს ამ განაჩენით განსაზღვრული სასჯელით თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით, ქონების კონფისკაციით და ხმის უფლების ჩამორთმევით ხუთი წლის ვადით. თანახმად საქ.სსრ სსკ 29 მუხლისა მოსახდელი სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო I950 წლის 2I ოქტომბრიდან.

განაჩენი კასაციური წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება:

თავმჯდომარე ი.ლომიძე
სახალხო მსაჯულნი: ა.კაბულაშვილი, კ.დალაქიშვილი
ასლი სწორია: მდივანი თათარაშვილი.

* - ტექსტი იბეჭდება უცვლელად

---

ეს განაჩენი ხელზე მოპოვებულია ხანგრძლივი მიმწირობის შემდეგ. ამჟამად დიდი განგაში აქვთ ატეხილი ყოფილი პოლიტპატიმრების რეაბილიტირებაზე, როგორც ეტყობა მხოლოდ მკვდრებს ეხება, ცოცხლებს არა. თუმცა მე ამათი არაფერი მინდა, 65 წლისა ვარ, არ მაქვს პენსია და არც ვითხოვ...

მე ჩემი თავი არასოდეს ჩამითვლია დამნაშავედ. მე მუდამ რეაბილიტირებული ვიყავი, მაშინაც კი როცა კატორღაში ვიმყოფებოდი ტაიმირის ნახევარკუნძულზე თეთრი დათვების სამფლობელოში 25 წლის ვადით...

ჟამთა სიავისაგან განიკითხოსმცა კაცი, ყოვლადვაი უსამართლობისა და მძლავრობისაგან 43 წლის მანძილზე ტანჯული, ჯეჯილი, 35 წელი იმდევნილი, დამცირებული,
გ.სარალიძე.

---

## ა დ ა მ ი ა ნ თ ა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ა ბ ჭ ო თ ა ი მ პ ე რ ი ა შ ი . . .

ათწლეულების მანძილზე იგნორირებული და გარიყული იყო ხელოვნებიდან - თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთი მოღვაწე, ქართული მოდერნისტული სკოლის დამაარსებლის დავით კაკაბაძის მოწაფე და მიმდევარი ბატონი კარლო გრიგოლია.

მისი ხელოვნება ნამდვილი საოცრებაა...

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ.უძრაობის პერიოდში მისი სახელოსნო რამოდენიმეგზის იყო დარბეული, თვითონ კი შევიწროებას განიცდიდა, ბატონ კარლოს მისი ხელოვნებისათვის არ უღალატნია, ფარხმალი არ დაუყრია და საჭრეთელი, ბრძოლის ეს მისეული იარაღი, არ შეუსვენებია.

სოცრეალისტურ ხელოვნებაში ბ-ნი კარლო გრიგოლია „დისიდენტად" ითვლებოდა. თბილისიდან გასვლისას „მახვილი თვალი" მას მუდამ თან სდევდა, ხოლო საბჭოთა კავშირს გარეთ გასვლაზე (მიუხედავად ბევრი მიწვევებისა) არც უოცნებია. მისი სახელოსნოდან გასულ სტუმრებს ხშირად აღუნიშნავთ, რომ ვერ წარმოვიდგენდით თუ აქ, პატარა საქართველოში, მსოფლიოსათვის უცნობ, ასეთ დიდ ხელოვანს აღმოვაჩენდითო.

ტყუილად კი არ ეშინოდა ჭეშმარიტი ხელოვნებისა სოცრეალიზმს...

მხოლოდ შინაგანად თავისუფალ და მოაზროვნე ადამიანს შეუძლია ჭეშმარიტების ტარება და მისი გადმოცემა. ის ხელოვნება, რომელიც სულს აღამაღლებს, ტრაფარეტიდან ჩამობეჭდილ ყალიბებს დაამსხვრევს, საზღვარდადებულ სტანდარტებს გაშორდება - არანაირად არ აწყობს საბჭოთა წყობას, და დღესაც კი „ბურჟუაზიულ გადმონაშთად" აღიქმება ცენზურადადებულ სოციალისტურ ხელოვნებაში.

ალბათ ამით არის განპირობებული ბატონი კარლო გრიგოლიას ხელოვნების იგნორირება და მისი, როგორც ჭეშმარიტად მოდერნისტი მოქანდაკის უგულვებელყოფა.

ვუსურვებთ ბატონ კარლოს იმ სანუკვარი სურვილის შესრულებას, რაც მომავალ თაობებში თავისუფალი აზროვნების აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის, საერთაშორისო სარბიელზე ქართული ქანდაკების მიერ თავისი ადგილის დამკვიდრებისათვის აუცილებელი - ქართული მოდერნისტული ქანდაკების სკოლის პრაქტიკულ დაარსებაში მდგომარეობს.



კ.გრიგოლია - ქალის ფიგურა

## ოქმი

1989 წლის 14 ივლისს თბილისში მხატვართა კავშირის სხდომათა დარბაზში შედგა საქართველოს ავანგარდის მხატვართა ასოციაციის /საშა/ დამფუძნებელი კრება, რომელზეც გამომსვლელები ხაზგასმით აღნიშნავდნენ საქართველოში ავანგარდის მხატვართა ასოციაციის შექმნის აუცილებლობას.

კრების მონაწილენი შეეხნენ საქართველოში სახვითი ხელოვნების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს, აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ათწლეულების მანძილზე ავანგარდიზმი განდევნილი იყო ოფიციალურად მიღებული სოციალისტური რეალიზმის მიერ, რაც ხელს უშლიდა სახვითი ხელოვნების ნორმალურ განვითარებას. იგნორირებდნენ სახვითი ხელოვნების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები როგორიცაა დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, და სხვანი, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ქართული სახვითი ხელოვნების ნორმალური განვითარება მსოფლიო სახვითი კულტურის ფონზე. გაბატონებული მხოლოდ სოციალისტური რეალიზმი ხელს ვერ უწყობდა მხატვრული აზროვნების სრულყოფილ განვითარებას და იწვევდა შემოქმედთა დიდი ნაწილის სრულ იზოლაციას მხატვრული და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

კრების მონაწილეები გაეცნენ ასოციაციის წესდებას, შეტანილი იქნა შესწორებები რის შემდეგაც კრებამ წესდება ერთხმად მიიღო.

გამომსვლელებმა აუცილებლად მიიჩნიეს საქართველოში სახვითი ხელოვნების და ახალი ესტეტიკის განვითარებისათვის ავანგარდისტ მხატვართა ასოციაციის შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის 1989 წლის 30 სექტემბრის სახალხო მიტინგის მონაწილეთაგან

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბატონ გივი გუმბარიძეს

ქ.გაგრისა და ლესელიძე-განთიადის ზონის ქართველი საზოგადოებრიობის მიერ ამა წლის 10 სექტემბერს ჩატარდა თავყრილობა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრობლემებზე:

ქ.გაგრის ზონაში მახინჯ ხასიათს იღებს ადგილობრივი მილიციის, პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების მოქმედება ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიმართ. ზემოთხსენებულ ორგანოთა მუშაკები ქ ა რ თ უ ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ო ბ ი ს მქონე მოქალაქეებს ყოველდღიურად ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე იძახებენ და წყვეტენ სამუშაოს, იგდებენ აბუჩად, აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ექცევიან მათ აგდებულად და გამომწვევად, დასდევენ მათ არაფრის გამო. ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ სამართალდამცველი ორგანოები არსებითად თავგასული აფხაზების ხელთაა.

პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის, გ.ტორჩუას საჯარო განცხადებით, სამართალდამცველი ორგანოების მუშაკების მოქმედება პარტიისა და მთავრობის მიერ ნაკარნახევი კურსითაა განსაზღვრული (მშვიდობიანი მოსახლეობის დევნა-შევიწროვება და შეურაცხყოფაც პარტიისა და მთავრობის მიერ არის ნაკარნახევი?) ნაბრძანები ჰქონიათ ორივე ხაზის წიაღიდან აჯრე ნასამართლევი რეციდივისტებისა და ნარკომანების დაპატიმრება, ყურით მოთრეული ბრალდების წაყენება და საქმის ისე წაყვანა, თითქოს 15-16 ივლისის ტრაგედია ხულიგნების მიერ წამოწყებული თავდასხმა იყო.

აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა: სისხლისღვრის ფაქტიური ორგანიზატორები: კობახია, კაპბა, ანქვაბი, ოზგანი, იაზიჩბა, მარბოლია, კეხირიფა, გოგუა, შინკუბა და სხვანი - ნარკომანები ყოფილან, ასევე მათ ემატებათ 5 000 შეიარაღებული აფსუა, მთავრობის სახლი რომ აიღო. ფაქტიურად იჩქმალება დანაშაულის პოლიტიკური ხასიათი და საქმე გამოჰყავთ ისე, თითქოსდა საქმე გვაქვს არა მასობრივი ჟლეტის აქციასთან და კარგად ორგანიზებულ პროვოკაციასთან, არამედ - ცალკეული სისხლის სამართლის დამნაშავეების, ხულიგნების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან. დამნაშავეებად ერთი მუჭა პირების გამოყვანა და ყველაფრის მათთვის გადაბრალება, საქმის გაყალბება, ნამდვილი ვითარების მიჩქმალვა, დამნაშავეთა ძირითადი მასისათვის პასუხისმგებლობის არიდება და მათი დამსახურებული სასჯელისაგან ფაქტიური დახსნა, აქცენტის გადატანა ძირითადიდან წვრილმანებზე, ფაქტიური დამნაშავეების ჩრდილში დაყენება ახალი ტრაგედიის მზადებისათვის ხელშეწყობას ნიშნავს, ხოლო სისხლისღვრის 48 ნამდვილი ორგანიზატორი კვლავ დაუსჯელი რჩება.

ქ.გაგრისა და ლესელიძე-განთიადის ზონის ქართველმა საზოგადოებრიობამ ლაგმი სამართალდამცველი ორგანოების მოქმედება, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა პოლიტიკა და გადაჭრით მოითხოვა:

1. აღარ განმეორდეს 70-იანი წლების შეცდომები, თუკი ისინი მართლა შეცდომები იყო და არა ქართველი ერის სიძულვილით ნაკარნახევი შეგნებული ღონისძიებანი და თუკი ეს იყო წინასწარგანზრახული პოლიტიკა, მხილებული იქნენ მისი სულისჩამდგმელები და გამტარებლები. სახელმწიფო ორგანოები გაიწმინდონ მათგან და მათი მომხრეებისაგან;

2. დაუყოვნებლივ შეწყდეს პროკურატურის, მილიციისა და საგამომძიებლო ორგანოების პოლიციურ-დერჟიმორდული თვითნებობა, მათ მიერ ქართული ნაციონალობის მქონე მოქალაქეთა სისტემატური შეურაცხყოფა, მათი გამუდმებული შევიწროება ეროვნული კუთვნილების გამო, აშკარა სიძულვილის გამომხატველი კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი ქართველების მიმართ - პროკურატურაში უდანაშაულოთა გამოძახება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამამცირებელი მუქარა და ლანძღვა, გადაკიდება, დაუსაბუთებელი და მოგონილი ბრალდებების წაყენება და მუქარით სასურველი ჩვენების გამოძალვის ცდები;

3. კანონიერების დამრღვევნი, ექსტრემისტი აფსუების წამქეზებლები, ანტიადამიანური, ანტიჰუმანური მიმართულების უღირსი „სამართალდამცველნი" - გ.ტორჩუა, გაგრის მილიციის უფროსი რ.გოგია, მისი მოადგილე - ხაგუში, ოპერმუშაკები: ბ.გოგია, დბარი, გამომძიებლები: ბაგათელია, გვასალია, განთიადის მილიციის უფროსი - ხაკბა, რომელთაც თავი შეირცხვინეს 15-16 ივლისის ამბების დროს და ფაქტიურად კაცისმკვლელებისა და დამრბევების ხელისშემწყობები და თანამგრძნობები არიან, განთავისუფლდნენ თანამდებობებიდან და გაძევებული იქნენ ორგანოებიდან. სამართალდამცველ ორგანოებში ხელმძღვანელ პოსტებზე დაინიშნონ კანონისა და მოვალეობის ერთგული, ქართველთადმი ლოიალურად განწყობილი პირები, რომელთაც განსაკუთრებული სიმპათიები არა აქვთ აფსუა სეპარატისტების მიმართ;

4. სამართალდამცველ ორგანოებში მოსახლეობის პროცენტის გათვალისწინებით აფხაზთა თანაბრად დაინიშნონ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქართველებიც. გამოირიცხოს ქართველებისადმი მტრულად განწყობილი ანდა ანტიქართული ჯგუფის მონაწილე სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა პოსტებზე დანიშვნა;

5. დაუყოვნებლივ დაისვას ბიუროზე ბიჭვინთის სკოლის დირექტორის - კეხირიფა-ბენიას საკითხი საქართველოს განათლების სამინისტროსადმი დაუმორჩილებლობის გამო, განთავისუფლდეს იგი თანამდებობიდან და მიცემულ იქნას პასუხისგებაში.

6. ჩატარდეს საკადრო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებები. ბოლომდე გაირკვეს იაზიჩბასა და ზ. აგრბას („ავანგარდის" რედაქტორის) საკითხი;

7. ჩატარდეს გაგრის ავტოკოლონაში საერთო კრება სოხუმის საგაფიცვო კომიტეტისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით, გაირკვეს გაფიცულთა პროცენტული რაოდენობა, მიეცეთ ქართველებს საშუალება პატიოსან კამათში, რომ ეს საბოტაჟია და არა გაფიცვა და როცა ეს დამტკიცდება, ამის შესახებ გამოცხადდეს საჯაროდ, ხოლო საბოტაჟის ორგანიზატორები, მათ შორის ღურწკაია (ავტოკოლონის დირექტორი), მოიხსნან და დაისაჯონ, ასევე „დსკ"-ს დირექტორი გვასალია;

8. წამოყენებული მოთხოვნების შესასრულებლად მთავრობას მიეცა ვადა. შეუსრულებლობის შემთხვევაში ხეივნისა და ლესელიძე-განთიადის ქართველი საზოგადოებრიობა მიმართავს პროტესტის უფრო მკაცრ ფორმებს და მოუწოდებს მთელ საქართველოს მხარში ამოუდგნენ მას.

(ასეთი რეზოლუციები გაეგზავნათ ბ-ნ გუმბარიძეს, ბ-ნ რაზმაძეს, ბ-ნ გორგოძეს, ბ-ნ ლომინაძეს, ქ.გაგრის საქალაქო კომიტეტის II მდივანს - ბ-ნ ნადარეიშვილს).

ჩვენი კანონიერი მოთხოვნები არ სრულდება. პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი გ.ტორჩუა კვლავ გამოდის მუქარით ქართველი მოსახლეობის მისამართით. კატეგორიულად მოვითხოვ უსწრაფესი ზომების მიღებას და პასუხს ზემოხსენებულ მოთხოვნებზე.

მიტინგის მონაწილეთა სახელით
ზვიად გამსახურდია 29.09.89.

თქვენო საიმპერატორო უმაღლესობავ დიდო მთავრინა ლეონიდა გიორგის ასულო, რუსეთის საიმპერიო სახლის მეთაურის უავგუსტესო მეუღლევ

საქართველოს მონარქისტული პარტია გიმოწმებთ თავის პატივისცემას საქართველოს სამეფო საგვარეულოს, ვითარცა ღვთისაგან პირველცხებულ და დაყენებულ სახელმწიფოს ჩამომავალს, ნაყოფს ხისაგან დავით წინასწარმეტყველისა - ებრაელთა მეფისა.

არ მოგკლებოდეთ ამჟამად, დედოფალო რუსეთისა, ჩვენი დიდი წმინდა მამის გრიგოლ ხანძთელის დალოცვა აშოტ კურაპალატის შვილებისა: „გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტესამან და ყოველთა წმინდათამან, რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყვა ესე „სადა არს პატივი მთავრობისაი, მუნ არს მსგავსება ღვთაებისაი" რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალგყვნა ღმერთმან ქვეყანისა განგებას".

გაცნობებთ, რომ საქართველოს მონარქისტული პარტია მიზნად ისახავს საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების მეფობის აღდგენას და კონსტიტუციური მონარქიის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე მაღალზნეობრივი, სტაბილური ფორმის, დამყარებას.

ქართველმა ერმა, რომელმაც სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ ოცდახუთი საუკუნის წინათ შექმნა, თითქმის ათასი წლის განმავლობაში სწორედ ბაგრატიონთა საგვარეულოს წინამძღოლობით მტრებთან მიმდინარე უთანასწორო ბრძოლაში შესძლო ეროვნული თვითმყოფადობის და ქრისტეს სჯულის შენარჩუნება.

ბაგრატიონთა დინასტია ქართველობისათვის ერთადერთი კანონიერი და ეროვნული სამეფო დინასტიაა, მისი აღდგენა კონსტიტუციური მონარქიის საწყისებზე ქართველი ერის ინტერესებს შეესაბამება და ამდენად სამართლიან საქმედ მიგვაჩნია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის რთულსა და ძნელ გზაზე დამდგარი ერი, თანამედროვე დემოკრატიის მაცოცხლებელ წყაროს დაწაფებული, მმართველობის ამ ფორმას აირჩევს, მაგრამ იგი შესაძლებელი გახდება მისი მზარდი კავშირით დასავლეთის სამყაროსთან.

ქართველ ხალხთან ერთად საქართველოს მონარქისტული პარტია დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსეთის ტახტის მემკვიდრე დიდმა მთავარმა ვლადიმერ კირილეს ძემ 1946 წელს არსებითად აღიარა, რომ თავის დროზე რუსეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოს დაპყრობა უსამართლო აქტი იყო და ცნო ბაგრატიონთა უფლებები საქართველოს სამეფო ტახტზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში მონარქიის რესტავრაციის შემთხვევაში არასოდეს აღარ განმეორდება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების მცდელობა, რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ეჭვის ქვეშ დაყენების შემთხვევა.

დაე, დღეს ყველა ქართველი ერთად ვიყოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ღმერთს შევთხოვთ, საქართველომ კვლავ მალე იხილოს წინაპართა ღირსეულ ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის ასვლა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ულრმესი პატივისცემით
საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქისტთა პარტია

* მეგობრებო, თანამემამულენო თქვენთვის კარგად არის ცნობილი თუ რა მოუტანა საქართველოს ინტერნაციონალისტურმა ქადაგებამ. სწორედ ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონებში, კერძოდ, ქვემო ქართლში, აფხაზეთში და ოსეთში თანამდებობრივი პოსტები უჭირავთ უმრავლეს შემთხვევაში არაქართველ ეროვნებებს. როგორც ცნობილი გახდა, აფხაზეთში ქართველთა სისხლი არ დაიღვრებოდა, რომ ზოგიერთ პარტიულ მუშაკს კობახიას, ოზგანს და სხვებს აფხაზეთის შინაგან საქმეთა განყოფილებებს თავისი წაყრუებით ხელი არ შეეწყოთ ამ ბარბაროსული აქციისათვის, არ შეიძლება არ გავიხსენოთ დღეს ლიხნის ყრილობა, რომელმაც მოდუპირი მნიშვნელობით აქ დაგვატეხა თავს 9 აპრილის ტრაგედია. დღეს როცა ქართველი ერი აყენებს სამართლიან მოთხოვნას საკადრო პოლიტიკის შეცვლაზე აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკაში, ქვემო ქართლში და სამხრეთ ოსეთში - შეუძლებლად მიგვაჩნია უყურადღებოდ დავტოვოთ ოქტომბრის რაიკომის აღმასკომის თავმჯდომარე გივი სეკანია, ქართული ენის უცოდინარი, რომელსაც ორი აგური არ დაუდევს საქართველოს კეთილდღეობისათვის, უფრო მეტიც, თავისი მოღვაწეობის პერიოდში არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ გადაუწყვეტია ბოლომდე, რაიონისათვის ბინების მშენებლობის თუ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის. გ.სეკანია ტენდენციურად უდგება ყველა საკითხის გადაწყვეტას. რის გამოც ჩვენ, ამ რაიონის მცხოვრებლები მივმართავთ ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტიას, დაგვეხმაროს თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ ანდრიაძესთან, რომ გივი სეკანია, როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი პიროვნება, გადაყენებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან. (14 ხელმოწერა)

რედაქციაში შემოსული წერილები და ცნობები...

*ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის ქართველმა თანამშრომლებმა ჯერ კიდევ სექტემბრის თვეში დახმარებისთვის მიმართეს პოეტ ხუტა ბერულავას, საქართველოს სახალხო ფრონტს და ბოლოს ეროვნული ხსნის შტაბ კომიტეტს, სადაც ისინი იმ არაადამიანურ გარემოს აღწერენ, რომელიც შექმნილია ქ. ცხინვალში ქართველი მოსახლეობის ირგვლივ. „ადამონ ნიხასის" ლიდერები და მათ მიერ წაქეზებული ოსი მოქალაქენი ხელყოფენ ქართველებს, შეურაცხყოფენ და მოითხოვენ დატოვონ ცხინვალი, ქართველებს ოსი ხელმძღვანელების წყალობით უხდიბათ სამსახურების დატოვება, სამაჩაბლოში დაიწყო ქართველთა წინააღმდეგ აპარტეიდი.

რედაქტორი: ცაცო ცერცვაძე
კონსულტანტი: ზვიად გამსახურდია
ნომერზე მუშაობდნენ: გიზო კორძაძე
ავთანდილ ფანცულაძე, ნანი დავლეთშინი